ლელო

8-11 ივნისი. 1996 წ.
ფასი 40 თეთრი

№28
(10988)

გამოდის 1931 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



UEFA EURO 96 England

დღეს, 8 ივნისს, ლონდონში „უემბლის“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნება ევროპის X ჩემპიონატი ფეხბურთში

ჩემპიონატისადმი მიძღვნილ მასალებს გთავაზობთ მე-4-5 გვერდებზე

„ფრანს-პრესი“ იტყობინება

ნორვეგია — საქართველო

ნორვეგიის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელმაც ვერ გაიკაფა გზა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, აქტიურ სამზადისს იწყებს 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის. ამ სამზადისის ერთ-ერთი ეტაპი იქნება შეხვედრა საქართველოს ნაკრებთან, რომელიც დანიშნულია 1 სექტემბრისათვის, ოსლოში. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ნორვეგიელები საპასუხო შეხვედრას გამართავენ თბილისში.

გიწვევთ პრესკონფერენციაზე

ოთხშაბათს, 12 ივნისს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში (ჭავჭავაძის 49-ა) საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ატარებენ ერთობლივ პრესკონფერენციას ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობასთან დაკავშირებით.

დასაწყისი 12 საათზე.

37:37

ხარისხის სასარგებლოდ!

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსმა ა. აბესაძემ „ლელოსა“ და სააგენტო „გუმათეს“ კორესპონდენტს უთხრა: „სპორტის დეპარტამენტში შევაჯამეთ 1996 წლის 5 თვის შედეგები. გვაინტერესებდა როგორი იყო შეფარდება გასული, 1995 წლის შესაბამის პერიოდთან. შარშან 5 თვეში, საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებებში, მოპოვებული იყო ოქროს 11, ვერცხლის 10 და ბრინჯაოს 16 მედალი, სულ — 37.

წლევანდელ შესაბამის პერიოდში, ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში, საქართველოს წარმომადგენლებმა დაიმსახურეს ოქროს 17, ვერცხლის 8, და ბრინჯაოს 12 მედალი, სულ 37. როგორც ხედავთ, შეფარდება თანაბარია 37:37. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ წლევანდელმა ხუთმა თვემ ხარისხით აჯობა გასულ წელს, თავად შეამჩნევდით — „ოქრო“ „ვერცხლი“ მეტია. კიდევ ერთი, წლეულს ეს მაღალი წარმატებები ძირითადად მოპოვებულია სპორტის ოლიმპიურ სახეობებში, რაც, ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანია მოახლოებული ოლიმპიური თამაშების თვალსაზრისით“.

„ლელო“ —
სააგენტო „გუმათე“

წარმატება მძიმე ბრძოლის შემდეგ

ქ. სმედერევსკა-პალანკაში (იუგოსლავია) პირველად ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკში საკლუბო გუნდებს შორის. მას წინ შესარჩევი შეჯიბრებები უძღოდა, სადაც გამარჯვებულმა 8 გუნდმა ფინალში მოიყარა თავი.

თბილისის კლუბმა „მერანმა“ იუგოსლავიის საგზური ერევანში მოიპოვა. მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, დიდოსტატები ნინო გურიელი, ნინო ხურციძე და ნანა ალექსანდრია. საინტერესოა, რომ ქართველი მოჭადრაკეები სხვა კლუბებშიც თამაშობდნენ: ნონა გაფრინდაშვილი „გოშაში“ (იუგოსლავია), ნანა იოსელიანი — „რადში“ (იუგოსლავია), ქეთევან კახიანი კი „ედელსფელდერში“ (გერმანია).

შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ჩატარდა და მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. მეოთხედფინალში „მერანი“ „გოშას“ შეხვდა და დიდი ანგარიშით 3,5:0,5 გაიმარჯვა. პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძემ ცნობილი იუგოსლაველი დიდოსტატი ნატაშა ბოჟკოვიჩი დაამარცხა.

აი შეჯიბრების შემდგომი მსვლელობა კი ჩვენი მოჭადრაკეებისათვის საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. ნახევარფინალში შეხვდრა დონის როსტოვის „ემპილსთან“, სადაც პირველ დაფაზე ცნობილი დიდოსტატი სვეტლანა მატვეევა თამაშობს, ყაიმით — 2:2 დასრულდა. ოთხივე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მაშინ გუნდები ხელმეორედ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად კი ქართველებმა გაიმარჯვეს— 2,5:1,5.

ფინალური მატჩი ქ. ზემუნის „აგროუნივერსალთან“ (იუგოსლავია) „მერანმა“ ასევე ყაიმით დაასრულა — 2:2 (კვლავ 4 ყაიმი). ზუსტად ასეთივე შედეგი მოიტანა განმეორებითმა მატჩმაც და ორივე გუნდს ჩემპიონობა მიენიჭა. „მერანი“ თასით დაჯილდოვდა.

გაისად ევროპის გუნდური პირველობა კლუბებს შორის კვლავ ქ. სმედერევსკა-პალანკაში გაიმართება.

მსაჯებიც ცნობილია

უეფამ დაამტკიცა იმ 24 არბიტრის სია, რომლებიც მოემსახურებიან ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის 31 მატჩს.

ინგლისი-შვეიცარია მანუელ დიეს ვეგა (ესპანეთი), **ესპანეთი-ბულგარეთი** პიერო **ჩეკარინი** (იტალია), **გერმანია-ჩეხეთი** დევიდ ელერეი (ინგლისი), **დანია-პორტუგალია** მარიო ვან დერ ენდე (ჰოლანდია), **რუმინეთი-საფრანგეთი** ჰელმუტ **კრუგი** (გერმანია), **იტალია-რუსეთი** ლესლი უილიამ **მოტრემი** (შოტლანდია), **თურქეთი-ხორვატია** სერჟ **მუმენტალერი** (შვეიცარია), **შვეიცარია-ჰოლანდია** ათანას **უზუნოვი** (ბულგარეთი), **ბულგარეთი-რუმინეთი** პიოტრ **მიკელსენი** (დანია), **ჩეხეთი-იტალია** ანტონიოს ლოპეს **ნეტო** (ესპანეთი), **პორტუგალია-თურქეთი** შანდორ **პული** (უნგრეთი), **შოტლანდია-ინგლისი** პერლუიჯი **პაირეტო** (იტალია), **საფრანგეთი-ესპანეთი** ვადიმ **ჟუკი** (ბელარუსი), **რუსეთი-გერმანია** კიმ მილტონ **ნილსენი** (დანია), **ხორვატია-დანია** მარკ **ბატა** (საფრანგეთი), **შოტლანდია-შვეიცარია** ვაცლავ **კრონდლი** (ჩეხეთი), **საფრანგეთი-ბულგარეთი** დერმოტ **გალახერი** (ინგლისი), **ჰოლანდია-ინგლისი** გერდ **გრაბხერი** (ავსტრია), **რუმინეთი-ესპანეთი** ახმეტ **ჩაკირი** (თურქეთი), **რუსეთი-ჩეხეთი** ანდრეს **ფრისკი** (შვეცია), **ხორვატია-პორტუგალია** ბერნდ **ხაინემანი** (გერმანია), **იტალია-გერმანია** გი **გუტალსი** (ბელგია), **თურქეთი-დანია** ნიკოლაი **ლევნიკოვი** (რუსეთი).

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

კარპოვი — კამსკი

5 ივნისს ელისტაში გაიხსნა მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში ფიდეს ვერსიით ამ წოდების მფლობელ ანატოლი კარპოვსა (რუსეთი) და პრეტენდენტ გატა კამსკის (აშშ) შორის.

ამ მატჩამდე კარპოვი და კამსკი 20-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ჩემპიონმა მოიგო 9 პარტია, ოთხჯერ დამარცხდა, 7 პარტია კი ყაიმით დასრულდა. რა თქმა უნდა, ეს ანგარიში სრულ წარმოდგენას არ გვაძლევს მეტოქეთა ძალების ახლანდელ შეფარდებაზე. კამსკი 2 ივნისს 22 წლისა გახდა, მისი შემოქმედებითი ზრდა ჯერაც არ დამთავრებულა და რამდენიმე წლის წინ, მას გასაგებია, უჭირდა კარპოვთან თამაში. შარშან მეტოქეები საერთაშორისო ტურნირებში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ერთხელ კამსკიმ გაიმარჯვა, მეორე შეხვედრა კი ყაიმით დასრულდა. წელს მონტე-კარლოში (სწრაფ და დაფაზე დაუხედავად თამაშში) კარპოვმა ორჯერ მოუგო კამსკის.

ჯერ სპორტის გადარჩენაზე ვიფიქროთ!

1989 წლის 6 ოქტომბერს ქართული სპორტის ისტორიაში ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა — შეიქმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ). ცოტა მოგვიანებით, მომდევნო წლის 10 სექტემბერს ჩამოყალიბდა და ამჟამადაც ნაყოფიერად ფუნქციონირებს სეოკ-ის იმერეთის ორგანიზაცია, რომელიც მხარის 12 საქალაქო და რაიონულ სპორტულ სტრუქტურას აერთიანებს. დაარსების დღიდან სეოკ-ის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციას საზოგადოებრივ საწყისებზე თავმჯდომარეობს საქართველოს ეროვნული ბანკის ქუთაისის რეგიონული განყოფილების მმართველი რევაზ რობაქიძე.

● **ბატონო რევაზ, თავდაპირველად იმაზე, თუ რისი გაკეთება მოასწრო ამ ექვსი წლის განმავლობაში თქვენმა ორგანიზაციამ.**

— კარგად მოგეხსენებათ, ეს ექვსი წელი რა პერიოდს დაემთხვა — ურთულესი პოლიტიკური ვითარება, ეკონომიკის ნგრევა... სპორტისათვის ბევრი ვერ იცლიდა, მაგრამ ასეთ პირობებშიც ოლიმპიური მოძრაობა ჩვენში არ შენელებულა. 1991 წელს გაიმართა საქართველოს პირველი სპორტული თამაშები, რასაც წინ უძღოდა სამხარეო შეჯიბრებები. მაშინ იმერეთის მხარის წარგზავნილებმა სპორტის 35 სახეობაში მიიღეს მონაწილეობა და 31 პირველი, 35 მეორე და 44 მესამე ადგილი დაიკავეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი დელეგაცია მეორე იყო თბილისელთა შემდეგ.

1992 წელი. ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები. უდიდეს წარმატებას მიაღწია ქუთაისელმა ძიუდოისტმა დავით ხახალეიშვილმა — ოქროს მედალი ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონაში. სწორედ დავითის გამარჯვების აღსანიშნავად აჟღერდა პირველად საქართველოს ჰიმნი და ოლიმპიურ სარბიელზე აღიმართა ჩვენი სახელმწიფო დროშა. ესპანეთშივე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა კიდევ ერთმა ქუთაისელმა სპორტსმენმა, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავემ გიორგი კოღუაშვილმა.

1994 წლის 19 ივნისს ქუთაისში ჩატარდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ოლიმპიური მარათონი, რომელშიც ასეულობით სპორტსმენმა და მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა. გასული წლის მაის-ივნისში იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილის წინადადებით მოეწყო მხარის მოსწავლეთა ე.წ. ოლიმპიური თამაშები, რომელშიც 900-ზე მეტმა მონაწილემ იასპარეზა. ანალოგიური შეჯიბრებები მომავალ წელსაც გაიმართება და, საერთოდ, ტრადიციული გახდება. სულ ახლახანს, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან ერთად ჩავატარეთ იმერეთის მხარის უნივერსიადა, რომელიც თანამედროვე ოლიმპიური თამაშების მე-100 წლისთავს მიეძღვნა. ამ საიუბილეო თარიღს დავუკავშირეთ აგრეთვე სპორტის მოყვარულთა ვიქტორინა დევიზით „ათენიდან ატლანტამდე“. ვიქტორინაში გამარჯვებულები სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან.

● **ატლანტა ახსენეთ, XXVI ოლიმპიური თამაშები, რომ იტყვიან, კარზეა მომდგარი. ცნობილია, საქართველოს სპორტულ დელეგაციაში იმერეთის მხარის წარმომადგენლებიც იქნებიან. ოლიმპიადისათვის მათი უკეთ მომზადების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა სპეციალური განკარგულებაც კი გამოსცა. რას გვეტყოდით ამასთან დაკავშირებით?**

— ატლანტის ოლიმპიადაზე საქართველო პირველად წარდგება დამოუკიდებელი გუნდით. ეს გარემოება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს სპორტსმენებს. ჩვენი მოვალეობაა ყოველმხრივ შევუწყოთ მათ ხელი წინასაოლიმპიადო სამზადისში. ხსენებული განკარგულების დედააზრიც ეს არის. იმერეთის მხარიდან ატლანტის თამაშებზე გამგზავრების ლიცენზიები მოპოვებული აქვთ დავით ხახალეიშვილს, ძალოსანს ვალერიან სარავას, ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძეს, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს ზაზა ტყეშელაშვილს და ზაზა თურმანიძეს, მოკრივეებს აკაკი კაკაურიძეს და თენგიზ მესხაძეს, ტყვიის მსროლელ ნინო უჩაძეს. განსაკუთრებით გვაიმედებს დავით ხახალეიშვილის ბრწყინვალე გამარჯვება ამ დღეებში ჰააგაში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე. მადლობა უნდა ვუთხრათ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს, ტა-

იხ. მე-2 გვ.

SOS გულგრილობაში შემოღამება

ანუ რასაც გამოვტოვებთ, წინ დაგვხვდება

„სიყრმის დროს დათესილი კეთილი თესლი დიდობაში გამოიღებს ნაყოფს" — წერდა ვაჟა-ფშაველა. ბავშვები ყველგან და ყველა ერში განსაკუთრებული ყურადღებით არიან გარემოსილნი და ვის როგორ შეუძლია, ისე იხდის ვალს მოზარდი თაობის წინაშე. სიყრმეშივე უნერგავენ აუცილებელს, რომლის ნაყოფი უკვე არა მხოლოდ პიროვნული, არამედ საყოველთაო-სახალხოა, ის დათესილი სიკეთე ისევ ხალხს და ქვეყანას უბრუნდება.

ვერავინ იტყვის, რომ აღზრდაში შეიძლება რაღაც მნიშვნელოვანი გამოტოვო და მერე სიკეთეს ელოდო. ეს შეუძლებელია. სულიერი და ფიზიკური აღზრდის ერთობლიობას აღიარებს მთელი მსოფლიო, რადგან არ შეიძლება აღზარდო ცალკე სული და ცალკე სხეული, თუნდაც გამოაწრთო, ფიზიკური სრულყოფა ხომ არაა თვითმიზანი, არამედ სულის „შემწეა", ფიზიკური გაკაჟება ხომ სულსაც აწრთობს.

რატომ წამოვიწყეთ ეს საუბარი? საგანგაშო ვითარების გამო. იმ საგანგაშო ვითარებისა, რაც ლამის დაკანონდეს ჩვენში. როცა ქვეყანაში ყველაფერი ინგრევა და ნადგურდება, სულიერი ნგრევა ერის დაცემის ტოლფასია. რაგინდ შეიცვალოს სახელმწიფო წყობა, არ შეიძლება ის ყლორტები, რომელიც მომავალში ქვეყნის ბურჯად უნდა იქცეს, სიცოცხლის მასაზრდოებელი ელექსირის გარეშე დატოვო. ჩვენ მივატოვეთ, ბედის ანაბარა მივუშვით ბავშვთა ფიზიკური აღზრდის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა. ფაქტები გნებავთ? მოშლილია ან თითქმის უკუგდებულია ფიზიკურ აღზრდაში გნებავთ სასკოლო, გნებავთ კლასგარეშე და გნებავთ სკოლისგარეშე მუშაობა, დავიწყებას მიეცა ხალისიანი თამაშები, პირველობები უბნებსა და სოფლებს შორის. ერთადერთი ფეხბურთი შემორჩა, ისიც მშობელთა მწირი ბიუჯეტის ხარჯზე.

მწარე სიმართლე უნდა ითქვას, რადგან დუმილი უდიდესი დანაშაული იქნება ჩვენი მომავალი თაობის წინაშე. „სკოლებში ყველგან უნდა აღდგეს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, ყურმოკრულ ამბავს არ ვანზოგადებთ — რაც მოგახსენეთ ამ დღეებში ითქვა საქართველოს პარლამენტში გამართულ შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე. ხედავთ, სკოლებში ფიზიკური აღზრდა უგულებელყოფილია. მაშ, რაღას ჰქვია, საერთოდ აღზრდა, რატომაა იგი ცალმხრივი და ვინ მიიყვანა საქმე აქამდე. ვინ და პირველყოვლისა დირექტორებმა. ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი ისე გაკადნიერდა, თავხედურად აცხადებს: „ახლა დემოკრატიაა, როგორც გვინდა ისე მოვიქცევითო". აფერუმ, ასეთ დირექტორებს! რა, სკოლა გამოეყო სახელმწიფოს თუ...

იგივე დირექტორები ხალისით უხსნიან სკოლის სპორტული დარბაზის კარებს კერძო ჯგუფებს, ცხადია, არა უსასყიდლოდ და უანგაროდ. იფიქრა ვინმემ იმაზე, რომ ამ შემოსავლიდან სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს დახმარებოდა? ის კი არა, ბევრგან დარბაზის კეთილმოწყობას, უბრალოდ, მინის ჩასმასაც ივიწყებენ.

ასეთია რეალური სურათი. დაინტერესებით თუ ვინმე ჩაიხედავს საქმეში, მეტსაც დაინახავს აღმაშფოთებელს. უპასუხისმგებლობა ჩვენი ბავშვების მიმართ კრიტიკულ ზღვრამდეა მისული, ყველგან, სკოლაში, სკოლის გარეთ. ამის შემდეგ რატომ უნდა გვიკვირდეს, რომ იზრდება უზედამხედველოდ დარჩენილ არასრულწლოვანთა დანაშაული, ნარკომანიაც მოეძალა ქვეყანას, საერთოდ, სუსტ, გაუვარჯიშებელ, მოდუნებულ სხეულში რა დაავადებები იჩენს თავს და როდის, ვინ იცის, არც ისაა უმნიშვნელო საკითხი, როგორ მომავალ ჯარისკაცებს ვუმზადებთ სამშობლოს. ასე რომ, სატკივარი მხოლოდ განათლების სისტემას არ ეხება.

გვაპატიოს მკითხველმა მწარე სინამდვილისათვის, მაგრამ საქმე ხომ ჩვენს ხვალინდელ დღეს ეხება, რაც უფრო ადრე გამოვალთ თვითდამშვიდების, მოჩვენებითობისა და გულგრილობის ტყვეობიდან, რაც უფრო ღრმად ჩავხედავთ თვალებში რეალობას, მით უფრო ადრე გამოჩნდება ხსნის გზა. გზა, რომელიც ჩვენი არსებობის გარანტი იქნება.

სააგენტო „გუმათე"

შუმახერის მეოცე გამარჯვება ესპანეთის მეფის რჩევით

„ფორმულა-1"-ის მეშვიდე ეტაპი (ესპანეთის „გრან-პრი", ბარსელონაში), რომელსაც კოკისპირული წვიმა დაესწრო, მოიგო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გერმანელმა მიჰაელ შუმახერმა („ფერარი"). რბოლის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულმა გათქვა ერთი „საიდუმლო": დილით მან და ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა ერთად დაათვალიერეს ტრასა და მისმა უდიდებულესობამ აუხსნა თურმე ჩემპიონს როგორ უნდა მოქცეულიყო კრიტიკულ მომენტებში. ეს ხუმრობა რომ გვერდზე გადავდოთ, შუმახერმა მართლაც ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა თავის ახალ გუნდს — „ფერარის" და როგორც ჟურნალისტები აღნიშნავდნენ, სასწაულები მოახდინა წყლით გალუმპულ ტრასაზე. ამ დღეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მეოცე გამარჯვება მოიპოვა „ფორმულა-1"-ში.

საბოლოო შედეგები: 1. მიჰაელ შუმახერი — 1:59.49,103 (საშუალო სისწრაფე — 153,785 კმ საათში), 2. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ბენეტონ-რენო"). ჩამორჩენა 45,302, 3. ჟაკ ვილნევი (კანადა, „უილიამს-რენო") — ჩამორჩენა 48,388.

შვიდი ეტაპის ჯამში ლიდერთა სამეული ასეთია: დემონ ჰილი (ინგლისი, „უილიამს-რენო") — 43 ქულა, 2-3. მიჰაელ შუმახერი და ჟაკ ვილნევი — 26-26 ქულა.

ჯერ სპორტის გადარჩენაზე ვიფიქროთ!

(პირველი გვერდიდან)

მადლობა უნდა ვუთხრათ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს, ტაქსომოტორულ საწარმოს, ენერგო ზედამხედველობის რეგიონულ სამსახურს. ეს ის ორგანიზაციებია, რომლებმაც პრაქტიკული დახმარება გაგვიწიეს რიგი საკითხების მოგვარებაში.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი გარემოებაც. ამას წინათ დავით ხახალეიშვილს დიდი პატივი ხვდა წილად. იგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოქმედ სპორტსმენთა კომისიაში აირჩიეს. სასიხარულოა, რომ უცხოეთში მას დამსახურებას უფასებენ. ჩვენში კი?... როგორც იცით, დავით ხახალეიშვილი ქუთაისის საბაჟოს უფროსის მოადგილედ მუშაობს. ოლიმპიადისათვის მზადებასთან დაკავშირებით დავითი დროებით მოწყვეტილია სამსახურეობრივ საქმიანობას. და ამ დროს მაეანთ მისი თანამდებობის დაკავება მოუსურვებიათ. იმედია, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მესვეურები საბოლოოდ არ გაუტეხენ გულს სახელოვან სპორტსმენს.

ბატონო რევაზ, ყველამ უწყის, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია დღეს საქართველოში სპორტი. ისიც ცნობილია, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში რესპუბლიკის პარლამენტმა უნდა განიხილოს კანონი სპორტის შესახებ. თქვენი აზრით, რაზე უნდა გამახვილდეს ძირითადი ყურადღება?

— პრობლემატური საკითხი ბევრია. ცხადია, პარლამენტმა კანონის პროექტის განხილვისას ქართული სპორტის გადარჩენაზე უნდა იფიქროს. გეხსომებათ, თავის დროზე სპორტის სპონსორი ფირმები რომ გაანთავისუფლეს გადასახადებისაგან. ეს გარემოება ფირმებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს, ისე, რომ სპორტისათვის სასიკეთო არაფერი გაუკეთებიათ. საჭირო იქნება არა ფირმებს, არამედ თვით სპორტულ ორგანიზაციებს დაუწესდეს შეღავათები. ვთქვათ, რომ ისინი განთავისუფლდნენ კომუნალური გადასახადებისაგან, მით უმეტეს, რომ ჩვენზე ბევრად განვითარებულ ქვეყნებშიც კი არსებობს ასეთი პრაქტიკა.

გასათვალისწინებელია შეღავათების დაწესება საბაჟოებზე სპორტული ფორმისა თუ ინვენტარის შემოტანის დროს. ახლა ბევრს ლაპარაკობენ სპორტული სკოლების თვითდაფინანსებაზე გადაყვანაზე. შესაძლოა, ეს დროის მოთხოვნა იყოს, მაგრამ, ხომ შეიძლება ამასთან ერთად ბიუჯეტიდან გამოთავისუფლებული სახსრების ნაწილი ისევ სპორტს მოვახმაროთ. აუცილებლად მიმაჩნია, რომ ყველა ქალაქსა და რაიონში სპორტულ ორგანიზაციებს კოორდინატორი ჰყავდეს... უნდა ვივარაუდოთ, ახალი კანონი ქართულ სპორტს სასიკეთოდ წაადგება.

ამ იმედითაა ახლა განმსჭვალული ყველა, ვისაც ჩვენი სპორტის მომავალი აღელვებს...

— ქართულ სპორტს რომ დიდი მომავალი აქვს, ეჭვიც არ გვეპარება. მთავარია ახლა, ამ რთულ პირობებში გადავარჩინოთ. რაც შეეხება ატლანტის ოლიმპიურ თამაშებს, დარწმუნებული ვარ, ჩვენი სპორტსმენები თავიანთ სათქმელს აუცილებლად იტყვიან.

იუზა კაციტაძე
„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი

გამოიწერეთ
ლელო

„ლელოს" გამოწერა შეგიძლიათ ყველგან — როგორც „საქპრესის" და „მაცნეს" ორგანიზაციებში, ისე პრესის კერძო გამავრცელებლების ფირმებში — „ექსპრესის", „უწყებანი" და ა.შ.
ყველა ორგანიზაციას, ვინც ხელმოწერას აფორმებს, მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენს რედაქციასთან.
ნდობა და საიმედოობა გარანტირებულია.
„ლელო" სტაბილურად გამოდის!

შეხვედრა ფარსულთან

ჩვენი სიყრმის საყვარელი გუნდი —თბილისის „სპარტაკი"

...შეტევა შეტევას მოსდევს, მოსკოველთა დაცვა და მეკარე ჩანოვი სრული დატვირთვით შრომობენ. აი, მარჯვნიდან სიხარულიძე კარის გასწვრივ ძლიერად გზავნის ბურთს, რომელსაც ლამაზ ნახტომში ვარდნით თავს უხვედრებს ნორაკიძე და ბურთი ბადეშია. ჩანოვმა ხელების გასავსავებალა მოასწრო. მაშინ ასეთი ტიპის გოლები დიდი იშვიათობა იყო და განსაკუთრებულ ეფექტს ახდენდა მაყურებელზე.

დიდი გაჭირვებით ჩემპიონებმა გაქვითეს ანგარიში. მეორე ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, რომ კოვერზნევმა აშკარა თამაშგარეშე მდგომარეობიდან გაიტანა მეორე გოლი. ამაოდ აპროტესტებდნენ მსაჯის გადაწყვეტილებას ჩვენი ბიჭები. აი, ახლა კი ძალიან დაგვწყდა გული. დაიწყო უიღბლობათა სერია, რომელსაც დასასრული არ უჩანდა.

შემდეგი თამაში მოსკოვის „სპარტაკთან" (2 ივნისი) კვლავ ცივ შხაპს მოგვაგონებდა: დაცვისა და მეკარის უხეში შეცდომები და წაგება 0-4. 8 წაგება ზედიზედ!

რაღაც სხივი თითქოს გამოკიაფდა შემდეგ შეხვედრაში კუიბიშევის გუნდთან (11 ივნისი), რომელიც ამ დროს პირველობის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ნორაკიძის ბრწყინვალე გადაცემით ბურთი კალოევმა გაიტანა. გამარჯვების მიუხედავად გუნდი მაინც ბოლო ადგილზე დარჩა.

ახლა საჭირო იყო წარმატების განმტკიცება და ამ განწყობით გაემგზავრნენ ბიჭები კიევში (17 ივნისი), თავგანწირულად იბრძოლეს და პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც —1-0 (გამყრელიძე), მეორეშიც გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ მაინც წააგეს 2-3 (მეორე გოლი ბერძენიშვილმა გაიტანა).

აქაც უიღბლობას მსაჯის „შეცდომები" დაემატა, ცხადია, მეტოქის სასარგებლოდ!

შემდეგი თამაში — სტალინოში (დონეცკში) — ადგილობრივ „შახტიორთან", რომელმაც იმ წელს ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. აქ ქულის აღებაც კი ძნელი იყო: 0-1 (22 ივნისი).

განწირულნი იყვნენ ბიჭები შემდეგ თამაშშიც — თბილისის „დინამოსთან", რომელსაც იმ დროს პირველი ადგილის შანსები ჰქონდა: 0-2 (28 ივნისი).

„სპარტაკი" კვლავ მტკიცედ იყო დამკვიდრებული ბოლო ადგილზე და როდესაც ყველაფერი უიმედოდ დამთავრებული ჩანდა, გუნდს თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნაო.

მომდევნო 6 შეხვედრაში „სპარტაკმა" 9 ქულა დააგროვა, მაშინ, როდესაც წინა 15-ში — მხოლოდ 5! ბოლო მე-15 ადგილიდან გუნდმა მე-12-ზე გადაინაცვლა და ასცდა საშიშ ზონას. შვებით ამოვისუნთქეთ!

მოკლედ ამ თამაშების შესახებ აღმავლობის ხაზი „დაუგავასთან" შეხვედრით დაიწყო (თბილისი, 4 ივლისი). პირველი ბურთი ჩვენს კარში გავიდა, მაგრამ მალე ნორაკიძის პასით დალაქიანმა თავით გაქვითა ანგარიში. მძაფრად „სიუჟეტური" გამოდგა მეორე ტაიმი. რიგელების კარში დაინიშნა პენალტი, რომლის შესრულებაც დაევალა უძლიერესი დარტყმის მფლობელს — სიხარულიძეს. მანაც არ დააყოვნა და თავისი განთქმული „შუტით" გაგზავნა ბურთი კარში, მაგრამ... რიგელთა ახოვანმა მეკარემ — ცნობილმა ვ. ვინოგრადოვმა მოიგერია იგი, კალოევმა დაუმატა და კვლავ ადგილზე აღმოჩნდა ვინოგრადოვი.

ის, რაც სიხარულიძემ ვერ მოახერხა 11 -მეტრიანი დარტყმით, მან 25-მეტრიანი საჯარიმოდან შეძლო: აუღებელი ბურთი გაგზავნა კარის მაღალ კუთხეში!

მალე დალაქიანმა კუთხური ჩამოაწოდა და კალოევმა გაიტანა თავისი „საფირმო" გოლი 3-1.

ჩინებულად ჩაატარეს ეს შეხვედრა აგრეთვე გამყრელიძემ, გოგლიძემ და, როგორც ყოველთვის, ნორაკიძემ.

შემდეგ თამაშში საკუთარ მინდორზე ვმს-თან (7 ივლისი), რომელიც ცხრილის ბოლო ხუთეულში იმყოფებოდა, „სპარტაკი" პირდაპირ ვალდებული იყო აეღო ორი ქულა, მაგრამ დიდი უპირატესობის მიუხედავად, ეს ვერ შეძლო — 0-0.

შემდგომ თამაშში კი — მოსკოვში ვვს-თან (13 ივლისი) იშვა კიდევ ერთი სენსაცია. რადიორეპორტაჟი თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ჩავრთო. როდესაც ცნობილმა კომენტატორმა ვადიმ სინიავსკიმ გვაუწყა, რომ ანგარიშია 6-0, ჩვენ ყველას გულები ჩაგვწყდა, ხოლო, როდესაც მან დაასრულა თავისი ფრაზა — თბილისის „სპარტაკის" სასარგებლოდ — ყურებს არ დავუჯერეთ!

თურმე, უკვე 27-ე წუთისათვის ანგარიში იყო 4-0, რასაც მეორე ნახევარში კიდევ ორი გოლი მოჰყვა. ბურთები გაიტანეს: კალოევმა —3 (!), გამყრელიძემ, დალაქიანმა და ნორაკიძემ, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა ეს შეხვედრა. კარგად იცავდა კარს ჟმელკოვი.

ეს იყო ვვს-ის ყველაზე სასტიკი დამარცხება გუნდის ისტორიაში და „სპარტაკის" ყველაზე უხვგოლიანი გამარჯვება „ა" კლასში მისი გამოსვლის მთელ მანძილზე.

აი, ასეთი თავბრუდამხვევი „ვირაჟებით" იყო სავსე „სპარტაკის" თამაში იმ სეზონში.

ძალიან გვინდოდა, რომ სენსაცია განმეორებულიყო მომდევნო თამაშშიც მოსკოვის „დინამოსთან" (17 ივლისს), მაგრამ საოცრებები არ მეორდება. წავაგეთ 1-3 (საჯარიმოდან ბურთი სიხარულიძემ გაიტანა). პრესა აღნიშნავდა, რომ „მაყურებლები მიესალმნენ თბილისელებს, რომლებმაც წაგების მიუხედავად, ტექნიკურად გააზრებული თამაში უჩვენეს".

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გამარჯვებას 2-1 გორკის „ტორპედოსთან" (21 ივლისს), სწორედ იმ გუნდთან, ასე უღიმღამოდ და უაზროდ რომ დავმარცხდით შინ პირველ წრეში (გოლები გაიტანეს სიხარულიძემ და ნორაკიძემ).

25 ივლისს კი „სპარტაკმა" კიდევ ერთხელ გაგვახარა: მოსკოვში (!) დაამარცხა „ტორპედო" 2-0, ბურთები გაიტანეს ახალბედა ფეხბურთელმა ბასილაშვილმა და კალოევმა.

გულბათ ტორაძე
პროფესორი

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №19, 22,24,26.

თბილისის სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრი წარმოგიდგენთ

ფრთხილად, აკრძალულია!

რა არის დოპინგი? განმარტება უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან.
„დოპინგ-ი (ინგლ. doping) — ნივთიერება, რომელიც მცირე ხნით ალაგზნებს, სიმხნევეს მატებს სპორტსმენის ორგანიზმს: თავდაპირველად იყენებდნენ საცხენოსნო სპორტში; აკრძალულია საერთაშორისო და სახელმწიფო სპორტული ორგანიზაციების მიერ".
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიამ გამოაქვეყნა ახალი სია იმ სამედიცინო პრეპარატებისა, რომელთა მიღება ეკრძალებათ სპორტსმენებს და დოპინგკონტროლზე ორგანიზმში მისი აღმოჩენისას სპორტსმენს მკაცრი სანქცია ემუქრება.
ახლა, როცა კარსაა მომდგარი ოლიმპიური თამაშები, ნაკრები გუნდების ექიმებმა, მწვრთნელებმა და თვით სპორტსმენებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ თუ რომელი პრეპარატის მიღებაა აკრძალული.

აკრძალული ნივთიერებები შემდეგ კლასებად იყოფა:

ა) Stimulants
ბ) Narcotics
გ) Anabolic Agents
დ) Diuretics
ე) პეპტიდი და გლუკოპროტეინის ჰორმონები და ანალოგები.

ა. სტიმულატორები

ა) კლასის აკრძალული ნივთიერებები შემდეგია:

amiphenazole
amipertine
cocain
fencamfamine
pentylentrazjl
salbutamol **
salmeterok **
amphetamines
caffeine *
aphedrines
mesocarb
pipradol
terbutaline **

– და შესაბამისი ნივთიერებები.

* — კოფეინისათვის დადებითი განსაზღვრება დამოკიდებულია შარდში კოფეინის კონცენტრაციაზე. შარდში მისი კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 12 მიკროგრამს ყოველ მილილიტრზე.

** — ნებადართულია მხოლოდ ინგალატორის (რესპირატორის) საშუალებით და ამის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს შეჯიბრების წინ სამედიცინო ხელმძღვანელობას.

შენიშვნა: იმიდაზოლის ყველა პრეპარატი მიღებულია მხოლოდ განსაკუთრებული გამოყენებისათვის, მაგ. ოქსიმეტაზოლინი. Vasocontrictors (მაგ. ადრენალინის) გამოყენება შეიძლება ადგილობრივ ანესთეზიურ პრეპარატებთან ერთად. ნებადართულია ფენილეფრინის ადგილობრივი პრეპარატების გამოყენება (მაგ. ცხვირისმიერი, ოფტალმოლოგიური).

ბ. ნარკოტიკები

ბ. კლასის აკრძალული ნივთიერებები შეიცავს:

dextromoramide
diamorphine (heroin)
morphine
pethidine
pethidine
dextropropoxyphene
methadone
pentazocine

და შესაბამისი ნივთიერებები

შენიშვნა: კოდეინი, დექსტრომეტორფანი, დიჰიდროკოდეინი, დიფენოქსილატი და ფოლკოდინი ნებადართულია.

გ. ანაბოლიკები

ანაბოლიკების კლასი ითვალისწინებს ანაბოლიკურ ანდროგენურ სტეროიდებს (AAS) და Beta 2 ნაერთებს.

გ. კლასის აკრძალული ნივთიერებებია:

1) ანაბოლიკური ანდროგენული სტეროიდები

clostebol fluoxymesterone metandienone metenolone papdrolone oxandrolone stanozolol testosterone *

და შესაბამისი ნივთიერებები

— ეპიტესტოსტერონთან (E) ტესტოსტერონის (T) არსებობა სპორტსმენის შარდში პროპორციით 6-ზე მეტი 1-ზე დარღვევაა, თუ არ იქნება იმის დადასტურებული ჩვენება, რომ აღნიშნული პროპორცია ფიზიოლოგიური ან პათოლოგიური მდგომარეობის გამოა. მაგ. ეპიტესტოსტერონის დაბალი გამოყოფა, სიმსივნის ანდროგენული წარმოშობა, enzyme-ის ნაკლებობა.

— T/E 6-ზე მეტი პროპორციის შემთხვევაში აუცილებელია, რომ პასუხისმგებელმა ხელმძღვანელობამ ჩაატაროს შემოწმება, სანამ სინჯი დადებითად გამოცხადდება. დაიწერება სრული მოხსენება, რომელიც შეიცავს წინა შესაბამისი შემოწმებების განხილვას ენდროკრინული შემოწმებების გარკვეული შედეგებით. თუ ადრინდელი ანალიზების მოპოვება შეუძლებელია, სპორტსმენი შემოწმებულ უნდა იქნას ანონიმურად სულ მცირე თვეში ერთხელ 3 თვის განმავლობაში. შემოწმებათა თავიდან აცილება გამოიწვევს სინჯის დადებითად გამოცხადებას.



2. Beta — 2 ნაერთები

clenbuterol
salbutamol
terbutaline
salmeterol
fenoterol და შესაბამისი ნივთიერებები.

დ. შარდმდენები

დ კლასის აკრძალული ნივთიერებებია:

acetazolamide
chlorthalidone
furosemide
mannitol
spironolactone
bumetanide
ethacrgnic acid
hydrochlorothiazide
mersalyl
triamterene

და შესაბამისი ნივთიერებები.

ე. პეპტიდი და გლიკოპროტეინის ჰორმონები და ანალოგები.

აკრძალული ნივთიერებები შემდეგია:

1. Chorionik Gonadotrophin (HCG - human chorionir gonadotophin).
2. Corticotrophin (ACTH).
3. Growth hormone (HGH, somatotrophin).

და ყველა შესაბამისი ფაქტორები ასეთი ნივთიერებებისთვის.

4. Erythropoietin (Epo)

აკრძალული მეთოდები.

აკრძალულია შემდეგი პროცედურები:

სისხლის დოპინგი

სისხლის დოპინგი წარმოადგენს სპორტსმენებისათვის სისხლის, სისხლის წითელი უჯრედებისა და შესაბამისი სისხლის ნაერთების გამოყენებას. ამ პროცედურას შესაძლოა წინ უძღოდეს სპორტსმენის მხრიდან სისხლის დაკარგვა, რომელიც აგრძელებს ვარჯიშს სისხლის გამოფიტულ მდგომარეობაში.

ფარმაცევტული, ქიმიური და ფიზიკური მანიპულაციები

ფარმაცევტული, ქიმიური და ფიზიკური მანიპულაციები წარმოადგენს იმ ნივთიერებებისა და მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ცვლის, ცდილობს შეცვალოს, ან მოსალოდნელია რომ შეცვალოს დოპინგ კონტროლის დროს შარდის სინჯების ხვედრითი წონა და შემადგენლობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე კატეტერის, შარდის შეცვლის და/ან შარდის გამოყოფის შეკავების გზით პრობენეციდის, მასთან დაკავშირებული ნაერთების და ეპიტოსტერონის გამოყენებით აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის წარმატებით ან წარუმატებლად გამოყენება, არსებითი საკითხი არ არის. მთავარია, რომ აღნიშნული ნივთიერება ან პროცედურა გამოყენებული ან ნაცადი იყო არსებული დარღვევის სრულყოფილად ჩათვლის მიზნით.

გვერდის რედაქტორია ექიმი-თერაპევტი **ნინო აფაქიძე**

საპარლამენტო კომისიაში

მოსმენა ერთია, შესმენა — მეორე...

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში გაიმართა საკომიტეტო მოსმენა სპორტული მედიცინის, საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის საკითხებზე.

შესავალი და დასკვნითი სიტყვები კომიტეტის თავმჯდომარემ რომან მიმინოშვილმა წარმოთქვა, ძირითადი მომხსენებელი გახლდათ სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის მთავარი ექიმი ოთარ ვირუბოვი.

საერთოდ ჩვენი ცხოვრებისა არ იყოს, აღნიშნულ სფეროშიც უმძიმესი მდგომარეობაა და მრავალი პრობლემა-გადასაწყვეტი, როგორც ეს გამოირკვა არაერთი სპეციალისტის გამოსვლებიდან. ითქვა, რომ საქართველოში სპორტული მედიცინა უმაღლესი დონით გამოირჩეოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში და ახლა ეს დონე დასაბრუნებელი თუ თავიდან მისაღწევი გამხდარა; გვაკლია ან სულაც არა გვაქვს სპორტსმენი ბავშვებისა და მოზარდებისათვის ვიტამინების, კალორიების, მედიკამენტების მიწოდების საშუალება; ისინი ზოგჯერ მშიერი მონაწილეობენ შეჯიბრებებში, ექიმები იქ აღარ სხედან; საერთაშორისო ჰუმანური ორგანიზაციების დახმარება ყოველთვის ვერ აღწევს დანიშნულების ადგილამდე და რასაც ვიღებთ, იმასაც კარგად ვერ ვიყენებთ; ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა შეძლოს სპორტსმენთა უფასო სამედიცინო მომსახურება თუ დახმარება; მეტი ყურადღება მზრუნველობით უნდა ვეკიდებოდეთ დიდი და სახელოვანი სპორტული წარსულის ადამიანებს. კვალიფიციურ მწვრთნელებსა და სპორტული მედიცინის სპეციალისტებს მინიმალურ პირობებს მაინც უნდა ვუქმნიდეთ, რომ ჩვენთან „დავამაგროთ"; დოპინგ-კონტროლზე მოსკოვში გვიხდება გაგზავნა და ეს დიდძალ თანხებს მოითხოვს, მაშინ როცა შეიძლება ამ თვალსაზრისით საქართველო მთელი ამიერკავკასიის ბაზად იქცეს; უნდა შეიქმნას სპორტული მედიცინის კონცეფცია, ამ დარგს პატრონი ჰირდება; მარტო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ვერას გახდება, მეტი კოლეგიალობა, კოორდინირება გვმართებს: სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტსა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს შორის კოორდინაციისათვის უნდა შეიქმნას მეთოდური საბჭო ან სამედიცინო ცენტრი, რომელიც დავალებებს შეიმუშავებს; სკოლებში ყველგან უნდა აღდგეს ფიზკულტურის გაკვეთილები და თუ ტერმინი „ფიზკულტურა" მოძველებულად გვეჩვენება, მისი შეცვლა არ გაგვიძნელდება... მომავალი ბიუჯეტისათვის სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს სპორტის სფეროს მოვლა. აქ წამოჭრილი მრავალი საკითხი, რასაკვირველია, გათვალისწინებული უნდა იქნას სპორტის კანონში, რომელსაც პარლამენტი მიიღებს.

კიდევ ასეთი, გარკვეული აზრით, კურიოზული მომენტი: ძირითადმა მომხსენებელმა მადლობა გადაუხადა (და არა „მოუხადა", როგორც ახლა რატომღაც მოდაშია) „ლელოსა" და მის თანამშრომლებს — ყურადღებას არ გვაკლებსო; ერთ-ერთი გამომსვლელი კი რომელმაც სპორტის დიდ პროპაგანდისტად წარმოგვიდგინა თავი, ამ რევერანსს კატეგორიულად არ დაეთანხმა.. (ვინც „ლელოს" არ კითხულობს, ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებას ის გააკეთებს რედ.)

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი:

— ეს შეკრება ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა. წინა პარლამენტში სპორტთან დაკავშირებული ამბები ფართოდ არ განხილულა და სასიამოვნოა, რომ კომიტეტმა ეს ასე გულმოდგინედ გააკეთა. აუცილებელია, რომ სპორტულ მედიცინას დავუბრუნოთ ძველი ეფექტიანობა, სხვანაირად ქართულ სპორტს დავღუპავთ. ბავშვებისა და მოზრდილების ჯანმრთელობაზე ფაქტობრივად ჩვენც ვაგებთ პასუხს.

ოლიმპიურ თამაშებისათვის მზადებასთან დაკავშირებით ბატონმა კახიმ შენიშნა, რომ ამ მიზნით 2 მილიონი ლარი გამოიყო, რომ 13 სახეობაში გამოვალთ და მედლების იმედიც გვაქვს.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ექსპერტ-კონსულტანტი გურამ ძაგანია:

— დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები იმდენად აქტუალურია, რომ სცილდება მხოლოდ სპორტსმენთა ფიზიკური მდგომარეობის შესწავლას. ადრე არსებული სპორტული დისპანსერები თითქმის აღარ არის. თბილისში კი შეიქმნა სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყოველნაირი კვალიფიკაციის სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურება, მაგრამ მას ძალზე უჭირს: არა აქვს მედიკამენტები, შესახვევი მასალა, დაზიანებულია ლამის მთელი აპარატურა, ახლის შეძენის შესაძლებლობა კი არ ჩანს, ეს ცენტრი ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და ურიგო არ იქნებოდა, მეტი ეზრუნა მასზე...

მოსმენა შედგა — შესმენა?

თამაზ ებანოიძე

მეცნიერება ებრძვის სიბერეს, მაგრამ სიკვდილის გენი ჯერ აღმოჩენილი არ არის

შექცევადია სიბერე?

სხვადასხვა მიზეზის გამო დაბერების პროცესის შესწავლა რთული ამოცანაა. ჯერ ერთი, ადამიანი ცხოვრობს ათეულ წლებს. ამიტომ ხანდაზმულთა ეგრეთ წოდებულ პროსპექტულ გამოკვლევას ასზე მეტი წელიწადი სჭირდება, რაც დღევანდელ პირობებში შეუძლებელი კი არა, გამორიცხულიცაა. აბა წარმოდგინეთ, რა არ მოხდა ბოლო ათასწლეულში. უბედურ შემთხვევათა მსხვერპლმა გადააჭარბა ყველა ომებისას. დღეს ხომ კაცის სიცოცხლე შემთხვევით შეხვედრილ ხულიგანსა თუ ბანდიტზეცაა დამოკიდებული, მოდით და დაგეგმეთ პერსპექტიული სამეცნიერო გამოკვლევა ხანდაზმულობაზე.

ვ. დ. დილმანის აზრით, შეიძლება გამოიყოს ათი დაავადება, რომელთა მიხედვით ყველაზე მეტი ადამიანი იღუპება (85-90%). მაგრამ იგივე დაავადებები ეხება ხანდაზმულებსაც, ჩვეულებრივ ავადმყოფობისა და ტრავმებისაგან რომ იღუპებიან, და არა მოხუცებულობის გამო დაძაბუნებით, როგორც ადრე მიაჩნდათ. როგორი დაავადებებია ეს? პირველ ყოვლისა, ესაა გომეოსტაზის (ნივთიერებათა ბალანსირებული ცვლა) დარღვევა. ამ ავადმყოფობათაგან კარგადაა ცნობილი ათეროსკლეროზი და სიმსუქნე; ავთვისებიანი წარმოშობანი, შაქრის დიაბეტი, არტერიული ჰიპერტონია, ნაკლებადშესწავლილი დაავადებები — ფსიქიური დეპრესია, იმუნური დეპრესია, ჰიპერადაპტოზი და კლიმაქსი, პათოლოგიური მოხუცებულობა. ჩვეულებრივ ადამიანი ეგუება ცხოვრების ექსტრემალურ პირობებს რამდენადმე დაძაბულობას რომ მოითხოვს (სტრესული რეაქცია).

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერსად გაექცევი სტრესულ რეაქციას. არ არსებობს სტრესი ორგანიზმის ადაპტაციას რომ არ იწვევდეს. ასეთ ზემოქმედებას სტრესორები ეწოდება, და მათ შეუძლიათ ხშირად ძალიან ძლიერად იმოქმედონ, რითაც ზიანდება გული, ნერვული სისტემა, საკვებგადამამუშავებელი ტრაქტი. სტრესული ავადმყოფობით შეიძლება დაიღუპოს ადამიანი, ისევე, როგორც ცხოველი.

სტრესორული რეაქციის სამი სტადიაა ცნობილი: პირველს განგაშის სტადია ჰქვია (ალიარება), მეორეს — ადაპტაცია (შეგუება), მესამეს — დაძაბუნება. აქედან გამომდინარეობს დაბერებული ორგანიზმისათვის დამახასიათებელი გიპერადაპტოზის მცნება. ამ დროს უკიდურესად მაღალი რეაქცია მიმდინარეობს (მაგალითად, თირკმელებზე და ა.შ.) მაშინ ადაპტირება უძლურია. ამის შედეგად ადამიანი კარგავს ბრძოლისუნარიანობას და მორიგი უმნიშვნელო სტრესის შედეგად შეიძლება დაიღუპოს. ამიტომ საჭიროა ამ კანონზომიერებაში კარგად გავერკვეთ, ვინაიდან იგი სიბერის პროცესსა და მის შექცევადობას ეხება. ვთქვათ, კლიმაქსის მდგომარეობა — შეესიტყვება გომეოსტაზის დარღვევას (ვ. მ. დილმანის მიხედვით). ეს ხომ რისკის ინდიკატორია და პათოლოგიური სიბერის გარკვეულ საფრთხეს წარმოშობს. მისგან თავის დაღწევა სიბერეში — ყველასათვის საკმაოდ აქტუალური პრობლემაა.

განვიხილოთ ასეთ რისკთან ბრძოლის კონკრეტული მაგალითი: 75 წლის კაცმა მიოკარდის მძიმე ინფარქტი გადაიტანა, აწუხებდა გულის უკმარისობა, უსივდებოდა ფეხები, სიარულში მალე იღლებოდა, არც ფილტვები უვარგოდა (ემფიზემა სჭირდა) და არტერიული წნევაც 220-130 ჰქონდა. როცა უბნის ექიმს მიმართა — მომეცით მიმართვა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერში რბენით მკურნალობისთვისო, ექიმი შიშმა შეიპყრო — მის წინ ხომ ლონემიხდილი მოხუცი იდგა. „რას ამბობ — უთხრა მან პაციენტს, — შენ ხომ ავადმყოფი ხარ, და ახლა სირბილი მოგინდომა"? მაგრამ ავადმყოფი მაინც ჩაირიცხა გამაჯანსაღებელი რბენის მოყვარულთა კლუბ „პულსში".

მეცადინეობის პირველ წელს იგი ნელა დადიოდა, თანდათანობით იგრძელებდა სავალს. მომდევნო წელს მოუმატა სიარულის სისწრაფეს. დაბოლოს, ექიმის მეთვალყურეობით დაიწყო სირბილი. ავადმყოფი გამოჯანმრთელდა. მას, ექიმთან ერთად 1985 წელს შევხვდი, წნევა ათკილომეტრიანი ძუნძულით რბენის შემდეგ ნორმალური ჰქონდა, გულის მუშაობაში გადახრა არ შეიმჩნეოდა, ელექტროკარდიოგრამაზეც, გადატანილი ინფარქტის ნიშნების გარდა, არავითარი პათოლოგია არ აღინიშნებოდა. უკვე 6 წელია ეს კაცი უნამლოდ ცხოვრობს, თუმცა, ყოველ შემთხვევისათვის, ჯიბეში უდევს ვალიდოლი ან ნიტროგლიცერინი.

დავინტერესდი: ნუთუ მარტო ძუნძულით რბენას შეუძლია ასეთი ეფექტი მოახდინოს? „ავადმყოფმა" მიპასუხა, რომ მხოლოდ რბენა კი არა, ჯანმრთელი ცხოვრების წესი, საერთოდ. იგი თამბაქოს არ ეწევა, არ სვამს (თუმცა თავის დროზე არ გაურბოდა), ცდილობს რაციონალურად იკვებოს, ყაბზობის შიშით, ბევრ ბოსტნეულს, ცოტა ხორცსა და ტკბილეულს ეტანება, არსებითად მიაჩნია ოჯახური სიმყუდროვე (ცოლიც თაყვანია რბენაში) და ძილი. ესაა ქმედითი ბრძოლა ჯანმრთელობისათვის. რა თქმა უნდა, 10 კმ ეს ყოველდღიური სარბენი ნორმა არაა, იგი ავადმყოფის პულსისა და მდგომარეობის საკონტროლოდაა შემოღებული (რბენის მოყვარულთა კლუბს ამიტომაც ჰქვია „პულსი").

და მაინც: როგორ ავხსნათ ჯანმრთელობის ასეთი საგრძნობი გაუმჯობესება? იგი ხომ მართლაც მძიმე ავადმყოფი, მოუვამფალებული მოხუცი იყო. 84 წლისა კი პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანია! რა დავარქვათ ასეთ ნიჩნესას: გაახალგაზრდავდა?

ინფარქტის შემდეგ გაჩენილი სტენოკარდია გულის ვენების არტერიების გამოკვეთილ ათეროსკლეროზს ნიშნავდა, ახლა კი უკვე 6 წელია არავითარი მსგავსი რამ! ვენური არტერიების შევიწროება გაქრა? ეს გულის არტერიის ათეროსკლეროზის უკუგანვითარება იქნებოდა. კი მაგრამ შეიძლება ეს რომ მოხდეს? ინფარქტამდე შეიძლებოდა ამის დამტკიცება ან უარყოფა. დინამიკაში ჩაატარებდნენ რენტგენოკონტრასტული გულის ვენური არტერიის გამოკვლევას (აეროგრაფია, კორონაროგრაფია). მაგრამ არ გაკეთდა, ვინაიდან ეს საკმაოდ რთული გამოკვლევაა, რომელიც კლინიკურ პირობებთან კარდიოქირურგიულ აღჭურვილობასა და გულის ოპერაციასთანაა დაკავშირებული, ამასთან ასეთ ასაკში არავინ დათანხმდებოდა რისკზე.

აი, რატომ ჭირს ვენური ათეროსკლეროზის შესაძლო უკუგანვითარება. სამწუხაროდ, რა თქმა უნდა, მკითხველი იკითხავს, არ არსებობს სხვა მეთოდი? კლინიკაში უკვე არის გულისა და სხვა ორგანოების არაინვაზიური მეთოდით ვიზუალიზაცია — ულტრაბგერები (ექოსკოპია, ულტრასინოგრაფია), კომპიუტერული ტომოგრაფია და სხვა. ალბათ ეს მომავლის საქმეა და ალარავის აექვებს ათეროსკლეროზის უკუგანვითარებისა და სხვა პათოლოგიის შესახებ უამრავი ფაქტობრივი მასალა დაგროვდება.

როცა ბიოლოგიური ასაკი ნაკლებია პასპორტში მითითებულზე

არისტოტელეს დროიდან მოყოლებული სიბერის უამრავი ჰიპოთეზა იყო. დღეს ლაპარაკია უჯრედების ცვეთასა და უჯრედოვან კოლოიდების დაშლაზე, ორგანიზმის მრავალუჯრედიანი ქსოვილის დეგრადაციაზე, ორგანიზმის პროდუქტებით მოწამვლაზე, რაც ნაწლავების ცხოვრებისუნარიან ბაქტერიებს სპობს ან მეტაბოლიტებით (შლაკები) ან მათი დაგროვებით, და ა.შ. მაგრამ დღემდე ცხადი არაა, რატომ ძლებენ თაგვები მხოლოდ 2 წელს, მგლები 10-12-ს, ადამიანები 60-90-ს, ხოლო კუ 300 წელს.

ცოცხალი ორგანიზმი ღია სისტემაა, რომელიც გარემოს ენერგიას იყენებს სიცოცხლისა და აღწარმოებისათვის. ბუნებრივი სიკვდილი დამახასიათებელია მრავალუჯრედიანი ორგანიზმისათვის, ერთუჯრედიანები კი მხოლოდ იყოფიან, და ასეთი მოვლენები არ შეიძლება მათი სიცოცხლის დასასრულად ჩაითვალოს — სიკვდილის მცნება აქ არ გამოდგება. გამოდის, რომ ინდივიდუალური სიბერე არც ზოგიერთ მრავალუჯრედიან სახეებისთვისაა დამახასიათებელი, მაგალითად, ბრტყელი ჭიებისათვის.

ცნობილი გერმანელი ზოოლოგი ა. ვაისმანი, ევოლუციური თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბიოლოგიური სახეობა მუდმივად ცვალებად გარემოში გადარჩენისა და უკვდავების მისაღწევად მოკვდავი ინდივიდუუმებისაგან უნდა შედგებოდეს. სწორედ მოკვდავებისაგან, ვინაიდან პიროვნების კოლექტიური ყოფიერებისათვის ცვეთა გამოსადეგი კი არა, მავნებელია. ეს ცოცხალ არსებათა თავისებური ადაპტაციაა. სიკვდილიანად, ძუძუმწოვარა ცხოველებსა და ადამიანის ქსოვილებს და უჯრედებს უნარჩუნდებათ რეგერატიული და რეპარატიული თვისებები. მაგრამ ასაკთან ერთად იშლება და დეფექტურ ცვლილებებს განიცდის, რაც ადრე თუ გვიან, სხვადასხვა ორგანოს დაღუპვას იწვევს, ზოგჯერ კი გარე მიზეზის როლს ასრულებს. ასეა თუ ისე, არ არის აღმოჩენილი სიკვდილის გენი.

ალექსანდრა პრეობრაჟენსკაია

ევროპის ჩემპიონატი

მეათე ფინიში

ევროპის ჩემპიონატების პირველი გოლი გავიდა 1958 წლის 28 სექტემბერს სსრ კავშირი — უნგრეთის მერვედფინალურ მატჩში მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე. ეს მოხდა თამაშის დაწყებიდან მეოთხე წუთზე: ანატოლი ილინმა მიიღო ზუსტი პასი სლავა მეტრეველისაგან და უძლიერესი დარტყმით შეარხია უნგრელი ბაკოს კარის ბადე (თექვსმეტი წუთის შემდეგ მეტრეველმა ანგარიში ორამდე გაზარდა, მატჩი კი სსრკ ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა — 3-1). მაშინ ტურნირს, რომელიც სსრ კავშირის ნაკრებმა მოიგო და რომელშიც სამი ქართველი ფეხბურთელი — გივი ჩოხელი, მიხეილ მესხი სლავა მეტრეველი იცავდა, ერქვა ევროპის თასი (ეს ასპარეზობა ევროპის ჩემპიონატად მოგვიანებით გადაკეთდა).

დღეს ინგლისში დაიწყება ევროპის ჩემპიონატის მეათე გათამაშების ფინალური ტურნირი. მასალები, რომლებსაც ქვემოთ გთავაზობთ, ძველი სამყაროს ამ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის სტატისტიკას ეხება.

ცხრა საფეხური

ევროპის თასი (1958-60)

10 ივნისი. 1960. სსრ კავშირი — იუგოსლავია 2-1 (0-1, 1-1 დამატ. დრო).

პარიზი. „პარკ დე პრენსი“. 17.966 მაყურებელი. მსაჯი ა. ელისი (ინგლისი).

სსრ კავშირი: იაშინი, ჩოხელი, კრუტიკოვი, ვოინოვი, მასლიონკინი, ნეტო, მეტრეველი, ვლ. ივანოვი, პონედელნიკი, ბუბკინი, მესხი.

იუგოსლავია: ვიდინიჩი, დურკოვიჩი, იუსუფი, ჟანეტიჩი, მილადინოვიჩი, პერუშიჩი, შეკულარაცი, ერკოვიჩი, გალიჩი, მატუში, კოსტიჩი.

გოლები: გალიჩი (40), მეტრეველი (50), პონედელნიკი (112).

ევროპის თასი (1962-64)

21 ივნისი. 1964. ესპანეთი — სსრ კავშირი 2-1 (1-1).

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“. 79.115 მაყურებელი. მსაჯი ა. ჰოლენდი (ინგლისი).

ესპანეთი: ირიბარი, რივილია, ოლიველია, სოკო, კალიეხა, ფუსტე, სუარესი, პერედა, ამანსიო, მარსელინო, ლაპეტრა.

სსრ კავშირი: იაშინი, მუდრიკი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, ანიჩკინი, კორნეევი, ვორონინი, ჩისლენკო, ვლ. ივანოვი, პონედელნიკი, ჰუსაინოვი.

გოლები: პერედა (7), ჰუსაინოვი (8), მარსელინო (84).

ევროპის ჩემპიონატი (1966-68).

8 ივნისი. 1968. იტალია — იუგოსლავია 1-1 (0-1, 1-1 დამატ. დრო).

რომი. ოლიმპიური სტადიონი. 68.817 მაყურებელი. მსაჯი გ. დინსტი (შვეიცარია).

იტალია: ძოფი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ფერინი, გუარნერი, კასტანო, დომენგინი, იულიანო, ანასტაზი, ლოდეტი, პრატი.

იუგოსლავია: პანტელიჩი, ფაზლაგიჩი, დამიანოვიჩი, პაუნოვიჩი, ჰოლცერი, პავლოვიჩი, პეტკოვიჩი, აჩიმოვიჩი, მუსემიჩი, ტრივიჩი, ჯაიჩი.

გოლები: ჯაიჩი (39), დომენგინი (81).

განმეორებითი მატჩი

10 ივნისი. 1968. იტალია — იუგოსლავია 2-0 (2-0)

რომი. ოლიმპიური სტადიონი. 32.886 მაყურებელი. მსაჯი ო დე მენდიბილ მონასტერიო (ესპანეთი)

იტალია: ძოფი, ბურგნიჩი, ფაკეტი, როსატო, გუარნერი, სალვადორე, დომენგინი, მაცოლა, ანასტაზი, დესისტი, რივა.

იუგოსლავია: პანტელიჩი, ფაზლაგიჩი, დამიანოვიჩი, პავლოვიჩი, პაუნოვიჩი, ჰოლცერი, ხოშიჩი, აჩიმოვიჩი, მუსემიჩი, ტრივიჩი, ჯაიჩი.

გოლები: რივა (13), ანასტაზი (32).

ევროპის ჩემპიონატი (1970-72).

18 ივნისი. 1972. გფრ-სსრ კავშირი 3-0 (1-0).

ფინალისტები

ბრიუსელი. „ჰეიზელი“. 43.437 მაყურებელი. მსაჯი ფ. მარშალი (ავსტრია).

გფრ: მაიერი, ბეკენბაუერი, ჰიოტგესი, შვარცენბეკი, ბრაიტნერი, უ. ჰიონესი, ნეცერი, ვიმერი, ჰეინკესი, გ. მიულერი, კრემერსი.

სსრ კავშირი: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, კონკოვი (დოლმატოვი, 46), ტროშკინი, კოლოტოვი, ბაიდაჩნი, ბანიშევსკი (კოზინკევიჩი), ონიშჩენკო.

გოლები: გ. მიულერი (27,58), ვიმერი (52).

ევროპის ჩემპიონატი (1974-76)

20 ივნისი. 1976. ჩეხოსლოვაკია — გფრ 2-2 (2-1, 2-2, დამატ. დრო) პენალტებით 5-3.

ბელგრადი. „ცრვენა ზვეზდას“ სტადიონი. 38.000 მაყურებელი. მსაჯი ს. გონელა (იტალია).

ჩეხოსლოვაკია: ვიქტორი, პივარნიკი, ონდრუში, ი. ჩაპკოვიჩი, კ. გიოგი, დობიაში (ფ. ვესელი, 93), პანენკა, შვეგლიკი (იურკემიკი, 79), მ. მასნი, მოდერი, ნეხოდა.

გფრ: მაიერი, ფოგთსი, ბეკენბაუერი, შვარცენბეკი, ლიტცი, ბონჰოფი, ბეერი (ბონჰარტცი, 80), ვიმერი (ფლოე, 46), უ. ჰიონესი, დ. მიულერი, ჰოლცენბაინი.

გოლები: შვეგლიკი (9), დობიაში (25), დ. მიულერი (28), ჰოლცენბაინი (90).

პენალტები გაიტანეს: დ. მასნიმ, ბონჰოფმა, ნეხოდამ, ფლოემ, ონდრუშმა, ბონჰარტცმა, იურკემიკმა, პანენკამ, ვერ გაიტანა — უ. ჰიონესმა.

ევროპის ჩემპიონატი (1978-80)

22 ივნისი. 1980. გფრ — ბელგია 2-1 (1-0).

რომი. ოლიმპიური სტადიონი. 47.864 მაყურებელი. მსაჯი ნ. რაინია (რუმინეთი).

გფრ: შუმახერი, კალცი, შტილიკე, კ.ჰ. ფიორსტერი, დიტცი, შუსტერი, ბრიგელი (კულმანი, 55), ჰ. მიულერი, რუმენიგე, ჰრუბეში, ალოფსი.

ბელგია: პფაფი, მეუესი, გერეტსი, მილეკამპსი, რენკინი, კოოლსი, ვან დერ ეიკენი, ვან მური, მომენსი, ვან დერ ელსტი, კულემანსი.

გოლები: ჰრუბეში (10,88), ვან დერ ეიკენი (66, პენალტით).

ევროპის ჩემპიონატი (1982-84)

27 ივნისი. 1984. საფრანგეთი — ესპანეთი 2-0 (0-0).

პარიზი. „პარკ დე პრენსი“. 47.368 მაყურებელი. მსაჯი ვ. ხისტოვი (ჩეხოსლოვაკია).

საფრანგეთი: ბატი, ბატისტონი (ამორო, 72), ლერუ, ბოსი, დომერგი, ჟირესი, ტიგანა, ფერნანდესი, პლატინი, ლაკომბი (ჟენჯინი, 80), ბელონი.

ესპანეთი: არკონადა, ურკიაგა, სალვა (რობერტო, 85), გალიეგო, სენიორი, ხულიო ალბერტო (სარიბია, 77), ვიქტორი, კამაჩო, ფრანსისკო, სანტილიანა, კარასკო.

გოლები: პლატინი (57), ბელონი (90).

ევროპის ჩემპიონატი (1986-88).

25 ივნისი. 1988. ჰოლანდია — სსრ კავშირი 2-0 (1-0).

მიუნხენი. ოლიმპიური სტადიონი. 72.308 მაყურებელი. მსაჯი მ. ვოტრო (საფრანგეთი).

ჰოლანდია: ვან ბრეკელენი, ვან აერლე, რაიკაარდი, რ. კუმანი, ვან ტიგელენი, ვოუტერსი, გულიტი, მიურენი, ე. კუმანი, ვანენბურგი, ვან ბასტენი.

სსრ კავშირი: დასაევი, დემიანენკო, ხიდიატულინი, გოცმანოვი (ბალტაჩა, 69), მიხაილიჩენკო, რაცი, ალეინიკოვი, ლიტოვჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი (პასულკო, 72), ბელანოვი.

გოლები: გულიტი (33), ვან ბასტენი (54).

ევროპის ჩემპიონატი (1990-92)

26 ივნისი. 1992. დანია — გერმანია 2-0 (1-0)

გიოტებორგი. „ულევი“. 37.800 მაყურებელი. მსაჯი ბ. ჰალერი (შვეიცარია).

დანია: შმეიჰელი, სივებაკი (კრისტიანსენი); ოლსენი, კ. ნილსენი, კრისტოფტე, იენსენი, პოულსენი, ლაუდრუპი, პეჰნიკი, ლარსენი, ვილფორტი.

გერმანია: ილგნერი, როიტერი, ბრემე, კოლერი, ბუჰვალდი, ჰესლერი, რიდლე, ჰელმერი, ზამერი (დოლი), ეფენბერგი (ტომი), კლინსმანი.

გოლები: იენსენი (20), ვილფორტი (79).

ყველაზე, ყველაზე

ფინალურ ტურნირში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა პლატინიმ (საფრანგეთი) — 9 (1984).

ერთ ციკლში (შესარჩევი, ფინალი) ყველაზე მეტი გოლი გაიტანა შუკერმა (იუგოსლავია — ხორვატია) — 12 (1996). შესაძლოა მან გაზარდოს კიდეც მაჩვენებელი წლევანდელ ფინალში.

ყველაზე მეტი მატჩი ფინალში ნათამაშევი აქვს ბრემეს (გერმანია) — 12 (სამ ჩემპიონატში).

ევროპის ჩემპიონატების ერთ მატჩში 5 გოლი აქვთ გატანილი: მაკდონალდს (ინგლისი), ნილაშის (უნგრეთი), ვან ბასტენს (ჰოლანდია).

ყველაზე დიდი ანგარიში დაფიქსირდა ესპანეთ-მალტის მატჩში (1984) — 12-1

ყველაზე დიდი აუდიტორია ჰყავდა X ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებს (1996) — 4.446.000 მაყურებელი.

ფინალური ტურნირებიდან ყველაზე ბევრი მაყურებელი ჰყავდა 1988 წლის (VIII) ჩემპიონატს — 938.076.

სად, ვისთან და როდის?

გთავაზოგთ ფინალური ტურნირის კალენდარს:

A ჯგუფი

08.06	ინგლისი — შვეიცარია.	ლონდონი.	19.00
10.06.	ჰოლანდია — შოტლანდია.	ბირმინგემი	20.30
13.06	შვეიცარია — ჰოლანდია.	ბირმინგემი	23.30
15.06	შოტლანდია — ინგლისი.	ლონდონი	19.00
18.06.	შოტლანდია — შვეიცარია.	ბირმინგემი	23.30
18.06.	ჰოლანდია — ინგლისი.	ლონდონი	23.30

B ჯგუფი

09.06.	ესპანეთი — ბულგარეთი.	ლიდსი	18.30
10.06.	რუმინეთი — საფრანგეთი.	ნიუკასლი	23.30
13.06.	ბულგარეთი — რუმინეთი.	ნიუკასლი	20.30
15.06.	საფრანგეთი — ესპანეთი.	ლიდსი	22.00
18.06.	საფრანგეთი — ბულგარეთი.	ნიუკასლი	20.30
18.06.	რუმინეთი — ესპანეთი.	ლიდსი.	20.30

C ჯგუფი

09.06.	გერმანია — ჩეხეთი.	მანჩესტერი	21.00
11.06.	იტალია — რუსეთი.	ლივერპული	20.30
14.06.	ჩეხეთი — იტალია.	ლივერპული	23.30
16.06.	რუსეთი — გერმანია.	მანჩესტერი	19.00
19.06.	რუსეთი — ჩეხეთი.	ლივერპული	23.30
19.06.	იტალია — გერმანია.	მანჩესტერი	23.30.

D ჯგუფი

09.06.	დანია — პორტუგალია	შეფილდი	23.30
11.06.	თურქეთი — ხორვატია	ნოტინგემი	23.30
14.06.	პორტუგალია — თურქეთი .	ნოტინგემი	20.30
16.06.	ხორვატია — დანია	შეფილდი	22.00
19.06.	ხორვატია — პორტუგალია	ნოტინგემი	20.30
19.06.	თურქეთი — დანია	შეფილდი	20.30

მეოთხედფინალური მატჩები მოეწყობა ლივერპულში (22 ივნისი, 22.30), ლონდონში (22 ივნისი, 19.00), მანჩესტერში (23 ივნისი, 19.00) და ბირმინგემში (23 ივნისი, 22.30).

ნახევარფინალები: 26 ივნისს. მანჩესტერსა (20.00) და ლონდონში (23.30).

ფინალი: 30 ივნისს ლონდონში. „უემბლიზე“ (23.00).

დრო ყველგან თბილისისაა.

ყველა პრიზიორი

პირველ ექვს გათამაშებაში ჩემპიონისა და მეორე პრიზიორის გარდა ბრინჯაოს მედლების მფლობელებსაც ავლენდნენ. 1984 წლიდან მოყოლებული კი აღარ ტარდება მატჩი მესამე ადგილისათვის. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც მოცემულია ევროპის ჩემპიონატების პრიზიორთა (და მეოთხე ადგილზე გასულთა) სრული სია.

	I	II	III	IV
გერმანია	2	2	-	-
სსრ კავშირი	1	3	-	1
ესპანეთი	1	1	-	-
ჩეხოსლოვაკია	1	-	2	-
ჰოლანდია	1	-	1	-
საფრანგეთი	1	-	-	1
იტალია	1	-	-	1
დანია	1	-	-	1
იუგოსლავია	-	2	-	1
ბელგია	-	1	1	-
უნგრეთი	-	-	1	1
ინგლისი	-	-	1	-

ვინ, რამდენი და როდის

ევროპის ჩემპიონატებში ქართველ ფეხბურთელებს მოპოვებული აქვთ 3 ოქროს და 4 ვერცხლის მედალი. ევროპის პირველი ჩემპიონატის (მაშინ, 1960 წელს ამ ტურნირს ევროპის თასი ერქვა) ოქროს მედალოსნები იყვნენ გივი ჩოხელი, სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი. ვერცხლის მედლები მოპოვებული აქვთ მურთაზ ხურცილავას (1972), რევაზ ძოძუაშვილს (1972), გივი ნოდიას (1972) და თენგიზ სულაქველიძეს (1988).

კონტინენტის ჩემპიონატის ორთავე ციკლში (შესარჩევი ტურნირები და ფინალები) მონაწილეობა აქვს მიღებული 17 ქართველ ფეხბურთელს. ამათ გარდა კიდევ 29 კაცი გამოდიოდა ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი. ქვემოთ გთავაზობთ სიას, რომელ ფეხბურთელს რამდენ ჩემპიონატში აქვს ნათამაშები და რამდენი მატჩი აქვს ჩატარებული.

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. მ. ხურცილავა — 15 მატჩი (2 ჩემპიონატი), თ. სულაქველიძე — 9 (2), რ. ძოძუაშვილი — 8 (1), ა, ჩივაძე — 7 (2), რ. შენგელია — 6 (2), ს. მეტრეველი — 5 (2), მ. მესხი — 3 (1), გ. ნოდია — 3 (1), დ. ყიფიანი — 3 (1), გ. ჩოხელი — 2 (1), გ. ცხოვრებოვი — 2 (1), ვ. დარასელია — 2 (1), რ. ურუშაძე — 1 (1), შ. ხინჩაგაშვილი — 1 (I), ვ. ქორიძე — 1 (1), მ. მაჩაიძე — 1 (1), ვ. გუცაევი — 1 (1).

დამოუკიდებელი გუნდის შემადგენლობაში. შ. არველაძე — 10, მ. შელია, გ. ჩიხრაძე, გ. ქინქლაძე, კ. გოგიჩაიშვილი — 9-9, ა. დევაძე, დ. კუდინოვი, თ. ქეცბაია — 7-7, გ. ინალიშვილი, გ. ჯამარაული, მ. ყაველაშვილი — 6-6, გ. ნემსაძე, კ. ცხადაძე, ზ. რევიშვილი — 5-5, ა. არველაძე — 4, ი. ზოიძე, ბ. ბერაძე, გ. ღუდუშაური, გ. გოგრიჭიანი, გ. კილასონია — 3-3, გ. გურული, რ. არველაძე, ლ. ცქიტიშვილი — 2-2, ნ. ლობჟანიძე, გ. გუჯაბიძე, მ. მაჭავარიანი, დ. ყიზილაშვილი, მ. ჯიშკარიანი, დ. ჯანაშია — 1-1.

ჩვენი სნაიპერები

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ქართველმა ფეხბურთელებმა ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ და ფინალურ მატჩებში 6 გოლი გაიტანეს. დამოუკიდებელ გუნდად მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა კი ევროპის X ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში 13 გოლი გაიტანა. აი როგორ გამოიყურება ბომბარდირთა სია:

შოთა არველაძე	— 4
თემურ ქეცბაია	— 4
გიორგი ქინქლაძე	— 3
სლავა მეტრეველი	— 2
მურთაზ ხურცილავა	— 2
რამაზ შენგელია	— 1
თენგიზ სულაქველიძე	— 1
გოჩა გოგრიჭიანი	— 1
დავით ჯანაშია	— 1

წარმოგიდგენთ ფინალისტებს ● „C" ჯგუფი

UEFA
EURO96
England

1. გერმანია

● ქვეყნის საფეხბურთო კავშირი შეიქმნა 1900 წლის 28 იანვარს.

● ფიფას წევრია 1904 წლიდან.

● სათამაშო ფორმა: მაისურები — თეთრი, ტრუსები — შავი, გეტრები — თეთრი.

● პირველი ოფიციალური მატჩი ითამაშა ბაზელში 1908 წლის 5 აპრილს — შვეიცარიის ნაკრებთან — 3-5.

● კონტინენტის პირველობაში მონაწილეობს — 1968 წლიდან (გფრ).

1968 წელი. შესარჩევი ციკლი: ალბანეთთან — 6-0, იუგოსლავიასთან — 2-1, 3-1.

ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

1972 წ. შ.ც.: თურქეთთან — 1-1, 3-0. პოლონეთთან — 3-1, 0-0. ალბანეთთან — 1-0, 2-0.

1/4 ფინალი: ინგლისთან — 0-0, 3-1.

1/2 ფინალი: ბელგიასთან — 2-1

ფინალი: სსრკ-სთან — 3-0 (გ. მიულერი — 2, ვიმერი): — მაიერი, ჰიოტგესი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ბრაიტნერი, ვიმერი, ჰიონესი, ნეტცერი, ჰეინკესი, გ. მიულერი, ე.კრემერსი.

მწვრთნელი — **ჰელმუტ შიონი.**

1976 წ. შ.ც.: მალტასთან — 8-0, 1-0. საბერძნეთთან — 2-2, 1-1. ბულგარეთთან — 1-1, 1-0.

1/4 ფინალი: ესპანეთთან — 2-0, 1-1.

1/2 ფინალი: იუგოსლავიასთან — 2-2 დ.დ. 4-2

ფინალი: ჩეხოსლოვაკიასთან — 2-2, პენალტებით — 3-5.

1980 წ. შ.ც.: თურქეთთან — 2-0, 0-0. მალტასთან — 8-0, 0-0. უელსთან — 5-1, 2-0

ფინალური ციკლი: ჩეხოსლოვაკიასთან — 1-0. ჰოლანდიასთან — 3-2, საბერძნეთთან 0-0.

ფინალი: ბელგიასთან — 2-1 (ჰრუბეში — 2): — შუმახერი, კალტცი, შტილიკე, კ-ჰ. ფიორსტერი, დიტცი, შუსტერი, ბრიგელი (კულმანი), ჰ. მიულერი, რუმენიგე, ჰრუბეში, კ. ალოფსი.

მწვრთნელი: **იუპ დერვალი.**

1984 წ. შ.ც.: ჩრდ. ირლანდიასთან — 0-1, 0-1. ალბანეთთან — 2-1, 2-1. თურქეთთან — 3-0, 5-1. ავსტრიასთან — 0-0, 3-0.

ფინალური ციკლი: პორტუგალიასთან — 0-0, რუმინეთთან — 2-1, ესპანეთთან 0-1. ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1988 წ. შ.ც.: შესარჩევი ციკლიდან განთავისუფლებული იყო, როგორც ფინალური ციკლის მასპინძელი ქვეყანა: ფ.ც.: იტალიასთან — 1-1, დანიასთან — 2-0, ესპანეთთან — 2-0

1/2 ნახევარფინალი: ჰოლანდიასთან — 1-2.

1992 წ. შ.ც. უელსთან — 0-1, 4-1. ბელგიასთან — 1-0, 1-0. ლუქსემბურგთან — 3-2, 4-0.

ფ.ც. დსთ-თან 1-1, შოტლანდიასთან — 2-0, ჰოლანდიასთან — 1-3.

1/2 ფინალი: შვედეთთან — 3-2.

ფინალი: დანიასთან — 0-2.

1996 წ. შ.ც. ალბანეთთან — 2-1 (კლინსმანი, კირსტენი), 2-1 (მათეუსი, პენ., კლინსმანი). მოლდოვასთან — 3-0 (კირსტენი, კლინსმანი, მათეუსი), 6-1 (ჰელმერი, ზამერი — 2, მიოლერი — 2, ავტოგოლი). საქართველოსთან — 2-0 (კლინსმანი — 2), 4-1 (მიოლერი, ციგე, კირსტენი, ბაბელი). უელსთან — 1-1 (ჰერლიხი), 2-1 (კლინსმანი, ავტ. გოლი). ბულგარეთთან — 2-3 (კლინსმანი, შტრუნცი), 3-1 (კლინსმანი — 2, ჰესლერი). ქვეჯგუფში — პირველი ადგილი.

სულ შესარჩევ და ფინალურ ტურნირში ჩაატარა 70 მატჩი: მოიგო — 44, ფრედ დაამთავრა 17, წააგო 9 შეხვედრა. ბურთების შეფარდება — 133-51.

გერმანელთა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა დაასახელა ნაკრების 22 მოთამაშე, რომლებიც ფინალურ ციკლში ითამაშებენ:

მეკარეები: ანდრეას კეპკე — 1962 წ. 12 მარტი. „აინტრახტი", 29 მატჩი. ოლივერ კანი — 1969 წ. 15 ივნისი. „ბაიერნი" მიუნხენი, 2. ოლივერ რეკი — 1962 წ. 20 თებერვალი. „ვერდერი". 4.

მცველები: მარკუს ბაბელი — 1972 წ. 8 სექტემბერი. „ბაიერნი" მიუნხენი, 10(1). თომას ჰელმერი — 1965 წ. 21 აპრილი. „ბაიერნი" მიუნხენი. 42 (2). იურგენ კოლერი — 1965 წ. 6 ოქტომბერი. „ბორუსია" დორტმუნდი. 78. შტეფან როიტერი — 1966 წ. 16 ოქტომბერი. „ბორუსია" დორტმუნდი. 49 (2). მატიას ზამერი — 1967 წ. 5 სექტემბერი. „ბორუსია" დორტმუნდი. 37 (5). რენე შნაიდერი — 1973 წ. 1 თებერვალი. „ჰანზა" როსტოკი.

ნახევარმცველები: მარიო ბასლერი — 1968 წ. 18 დეკემბერი. „ვერდერი". ბრემენი 13 (1). მარკო ბოდე — 1970 წ. 15 ნოემბერი. „ვერდერი" 1 (2). დიტერ აილტსი — 1964 წ. 10 დეკემბერი. „ვერდერი". 12. შტეფან ფროინდი — 1970 წ. 19 იანვარი. „ბორუსია" დორტმუნდი. 10. ანდრეას მიოლერი — 1967 წ. 2 სექტემბერი. „ბორუსია" დორტმუნდი. 57 (19). თომას ჰესლერი — 1956 წ. 30 მაისი. „კარლსრუე". 69 (8). მეჰმეტ შოლი — 1971 წ. 4 სექტემბერი. „ბაიერნი" მიუნხენი. 5. თომას შტრუნცი — 1968 წ. 25 აპრილი. „ბაიერნი" მიუნხენი. 25 (1). კრისტიან ციგე — 1972 წ. 1 თებერვალი. „ბაიერნი" მიუნხენი, 13 (1).

თავდამსხმელები: ოლივერ ბირხოფი — 1968 წ. 26 აპრილი. „უდინეზე" იტალია. 3. ფრედი ბობიჩი — 1971 წ. 30 ოქტომბერი. „შტუტგარტი". 6 (1). იურგენ კლინსმანი — 1964 წ. 30 ივლისი. „ბაიერნი" მიუნხენი. 79 (34). შტეფან კუნცი — 1962 წ. 30 ოქტომბერი. „ბეშიქთაში" 14 (2).

გერმანიის ეროვნული ნაკრები (მარცხნიდან): დგანან — თომას ჰელმერი, იენს ტოდი, კრისტიან ციგე, შტეფან როიტერი, ოლივერ კანი; პირველ რიგში — მეჰმეთ შოლი, შტეფან ფროინდი, მათიას ზამერი, შტეფან კუნცი, ანდრეას მიოლერი, თომას ჰესლერი.

გერმანიის ნაკრები, როგორც ყოველთვის, ახლაც ევროპის ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტად ითვლება. მისმა მწვრთნელმა ჰანს-ჰუბერტ (ბერტი) ფოგტსმა ნაწილობრივ აღიდგინა ავტორიტეტი, რომელიც ფრიად შერყეული იყო შესარჩევ ჯგუფში მარცხიანი თამაშის შემდეგ და როცა მდგომარეობა მხოლოდ ფინიშზე გამოსწორდა. საქმე კინაღამ იქამდეც კი მივიდა, რომ გერმანიის ფეხბურთის კავშირმა, რომელსაც მანამდე არა ჰქონია კონტრაქტის ვადის გასვლამდე მწვრთნელის განთავისუფლების არც ერთი შემთხვევა, ლამის დაარღვია ეს ტრადიცია, მაგრამ ახლა ყველაფერი დავიწყებულია, ბ. ფოგტსი მშვიდად ამზადებს თავის გუნდს ინგლისისთვის, მას ალარავინ უწოდებს „ხალხის №1 მტერს".

როგორც ყველა სხვა მწვრთნელი, ფოგტსიც ბოლო მომენტამდე გარკვეული პრობლემების წინაშე იდგა. პრობლემა №1 — ეთამაშა თუ არა ნაკრებში ლოტარ მათეუსს, რომელიც წლების განმავლობაში მისი კაპიტანი იყო. მათეუსმა ნაკრებში გერმანელთაგან ყველაზე მეტი — 122 მატჩი ჩაატარა და ამ მხრივ მსოფლიო რეკორდის დამყარების იმედიც კი ჰქონდა, ამასთან, ეს, უდავოდ, მსოფლიო კლასის ფეხბურთელი სერიოზულად დაშავდა, კარგა ხანს მკურნალობდა, მხოლოდ რამდენიმე თვეა დაუბრუნდა მიუნხენის „ბაიერნს" ისე, რომ ნაკრებში ერთი მატჩიც კი არ ჩაუტარებია. ერთი სიტყვით, ფოგტსი დიდხანს ყოყმანობდა, მათეუსი კი აცხადებდა, რომ თუ მწვრთნელი მიიწვევს, მზადაა მიიღოს მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატში.

ამ ორჭოფულ მდგომარეობაში გამოსავალი ბოლოს მაინც თვით მათეუსმა მონახა. გაიმარჯვა კეთილგონიერებამ — ვეტერანმა გადაწყვიტა ინგლისში არ ეთამაშა, გზა შედარებით ახალგაზრდებისთვის დაეთმო. ამის პასუხად ფოგტსმა მყის გააკეთა განცხადება:

— მე არ შემეძლო მათეუსის გუნდში შეყვანით მთელი ტაქტიკის შეცვლა. ახლა ლიბეროს პოსტზე უძლიერესია მათიას ზამერი და ეს უდავო ამბავია.

ბასლერი

ჩვენი გულშემატკივრები საკმარისად იცნობენ მოთამაშეთა უმეტესობას. ძირითადი მეკარე კეპკე ფოგტსმა შეიყვანა იმ ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც აშშ-ს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა, თუმცა არც ერთ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. ამისათვის მას მწვრთნელმა ოფიციალური ბოდიშიც კი მოუხადა და 1994 წლის შემოდგომიდან კეპკე თითქმის შეუცვლელად თამაშობს. 1995-96 წლების სეზონში კეპკეს, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა „აინტრახტში", რომელსაც თავგანწირული თამაშის მიუხედავად ვერ უშველა და გუნდს ბუნდესლიგის დატოვება მოუხდა. ჩინებულად თამაშობს მეორე მეკარე კანიც. დაცვაში განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ლიბერო ზამერი, რომელსაც ახალ ფრანც ბეკენბაუერსაც კი უწოდებენ. საჭიროების შემთხვევაში ზამერს თანაბარი წარმატებით შეუძლია შუა ხაზზეც კი ითამაშოს. საერთოდ ახლა გერმანელთა დაცვა გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე, ვთქვათ, შესარჩევი ტურნირის შუაგულში, როცა გუნდი ბულგარელებთან დამარცხდა. იგივე ითქმის შუა ხაზზე, სადაც ადრინდელი მზადყოფნა აღიდგინა ჰესლერმა, ჩინებულად მოქმედებენ ბასლერი და მიოლერი. მათ მეტოქეობას უწევს შოლი, რომელიც ეროვნებით თურქია, მაგრამ კარგა ხანია გერმანიის მოქალაქეობა მიიღო. გერმანელთა დაცვითმა ხაზებმა რთული გამოცდა ჩააბარეს ამასწინანდელ ამხანაგურ მატჩში ძველ მეტოქეებთან — ჰოლანდიელებთან, სადაც მასპინძლები თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში უტევდნენ, გერმანელები მინდვრის ნახევარზე ჩაკეტეს, მაგრამ მაინც წააგეს (0-1). აი, სწორედ ამ მატჩმა ჩააგონა ფოგტსს, რომ დაცვაში ყველაფერი წესრიგშია და რომ მათეუსის დამატება საჭირო არ არის.

კლინსმანი

თავდასხმაში, როგორც ყოველთვის, ლიდერი კლინსმანია. გერმანელი მიმომხილველები იმასაც წერენ, რომ ამ მსოფლიო კლასის ფორვარდს არასოდეს უთამაშია ისე, როგორც ახლა. მეორე ასეთი კლინსმანი, ცხადია, გერმანიის ნაკრებს არა ჰყავს. ვინ უნდა ითამაშოს მის მხარდამხარ? ფოგტსმა რამდენიმე კანდიდატი გამოსცადა (კირსტენი, დოლი), სანამ ბოლოს და ბოლოს, ყურადღება არ შეაჩერა ბირჰოფზე. იტალიაში მოთამაშე ეს ფეხბურთელი დიდხანს არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ მიმდინარე სეზონში, მკაცრი კონკურენციის პირობებში, „უდინეზეში" შეძლო 17 გოლის გატანა, რაც იტალიისათვის მექქვსე შედეგია, თვით ბირჰოფისთვის კი, ცხადია, ბრწყინვალე მიღწევა.

რას ფიქრობენ ექსპერტები ინგლისში გერმანიის ნაკრების შესაძლებლობათა თაობაზე? მისი მეტოქეები წინასწარ ჯგუფში, როგორც მოგეხსენებათ არიან იტალიის, რუსეთისა და ჩეხეთის გუნდები.

იტალიის ნაკრების მწვრთნელი არიგო საკი ჯგუფს მეტისმეტად ძლიერად თვლის და ამბობს, რომ მან, პირველ რიგში, ანგარიში უნდა გაუწიოს გერმანელებს და რუსებს, საკის აზრით, ამ ჯგუფიდან გზას მეოთხედფინალისკენ სწორედ იტალიელები და გერმანელები გაიკაფავენ, თუმცა ეს არ არის ისე იოლად გადასაწყვეტი ამოცანა. ჩეხებსაც კი, რომლებიც ამ ჯგუფში, სხვებს შეიძლება ჩამოუვარდებიან, მაგრამ, თავისთავად, ძლიერი ნაკრები ჰყავთ, დიდი ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ცნობილმა რუსმა მეკარემ დიმიტრი ხარინმა, რომელიც, როგორც ცნობილია, ლონდონის „ჩელსიში" თამაშობს, ჯგუფში, ისევე, როგორც ყველამ, გამოჰყო იტალიელები და გერმანელები, მაგრამ დასძინა, რომ ფეხბურთში დაუმარცხებელი გუნდები არ არსებობენ და წინ მოულოდნელობები გველის. პრეტენზიები რუსებსაც და ჩეხებსაც ექნებათ.

ბერტი ფოგტსს წინათ ძალიან ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა ჟურნალისტებთან, მაგრამ ახლა ურთიერთობა „გათბა". აი, რა განუცხადა მწვრთნელმა გერმანელ ჟურნალისტებს:

— იტალია, ცხადია, დიდ პატივისცემას იმსახურებს, უპირველეს ყოვლისა, იმის გამოც, რომ ყოველთვის წარმატებით თამაშობს ჩვენს წინააღმდეგ. იტალია-გერმანიის მატჩი ფეხბურთის კლასიკა გახლავთ, იგი ყოველთვის მეტად მძაფრად მიმდინარეობს.

ფოგტსის აზრით იტალიელებსა და გერმანელებს ამჯერად დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობები ექნებათ, მაგრამ ჯგუფის ფავორიტებად მაინც იტალიელებს მიიჩნევს, რომელთაც მეტად გამოცდილი გუნდი ჰყავთ.

ეს ასეა, მაგრამ თვით გერმანელებსაც, რომელთა დიდმა ჯგუფმა 30 წელს გადააბიჯა, მეტი რაღა გამოცდილება უნდათ!

ერთი სიტყვით, მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ გერმანიის ნაკრებმა დაძლია კრიზისი, რომელიც საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა და ახლა მზად არის ევროპის ჩემპიონობისთვის საბრძოლველად.

მსოფლიო ჩემპიონატი — 98
შესარჩევი მატჩები

ევროპა

II ჯგუფი. ნორვეგია—აზერბაიჯანი 5-0 (2-0). გოლები: სოლბაკენი, 8 (1-0), სოლსკიარი, 37 (2-0), სოლბაკენი, 46 (3-0), სტრანდლი. 60 (4-0), სოლსკიარი, 89 (5-0). ეს იყო სასტარტო მატჩი აღნიშნულ ჯგუფში. სხვებზე მეტად თავი გამოიჩინეს სოლბაკენმა და სოლსკიარიმ, რომლებმაც მეტოქეთა კარში 2-2 გოლი გაიტანეს.

IV ჯგუფი. შვეცია-ბელარუსი 5-1 (2-0) გოლები: კ. ანდერსონი, 20 (1-0), დალინი, 30 (2-0), კ. ანდერსონი, 62 (3-0), ბელკევიჩი, 75 (3-1), პ. ანდერსონი, 77 (4-1), ლარსონი, 88 (5-1). ასევე პირველი მატჩი ჯგუფში. კ. ანდერსონმა ორი გოლი გაიტანა და დაწინაურდა ბომბარდირთა დავაში.

VI ჯგუფი. იუგოსლავია-მალტა 6-0 (3-0). გოლები: მილოშევიჩი, 2 (1-0), მიატოვიჩი, 39 (2-0), სტოიკოვიჩი, 45 (3-0), მილოშევიჩი, 68 (4-0), სავიჩევიჩი, 70 (5-0), სავიჩევიჩი, 73 (6-0). იუგოსლავიამ უკვე მეორე შეხვედრა მოიგო ჯგუფში (პირველი — ფარერებთან — 3-1). გამოიკვეთა საუკეთესო ბომბარდირთა სიაც. ამ სიაში დაწინაურდნენ სავიჩევიჩი (4 გოლი) და მილოშევიჩი (3).

VII ჯგუფი. სან-მარინო — უელსი 0-5 (0-3). გოლები: მელვილი, 20 (0-1), პიუზი, 32 (0-2), პიუზი, 43 (0-3), გიგზი, 50 (0-4), პემბრიჯი, 85 (0-5).

VIII ჯგუფი. ისლანდია-მაკედონია 1-1.

სამხრეთ ამერიკა

ეკვადორი — არგენტინა 2-0 (0-0). გოლები: მონტანო, 51 (1-0), ე. ურტადო, 90 (2-0).

ურუგვაი — პარაგვაი 0-2 (0-1). გოლები: არსე, 10 (0-1), ა. როხასი, 89 (0-2).

ვენესუელა — ჩილი 1-1 (1-0). გოლები: გუერა, 9 (1-0), მარგასი, 90 (1-1).

პერუ — კოლუმბია 1-1 (0-0). გოლები: რეინოსო, 48 (1-0), არისტისაბალი, 60 (1-1). ბომბარდირთა სიაში დაწინაურდნენ: ე. ურტადო (ეკვადორი) — 3 და ორტეგა (არგენტინა) — 2.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა ბოლო საკონტროლო მატჩები

● გერმანია — საფრანგეთი 0-1 (0-1). გოლი: ბლანი, 6.

● უნგრეთი — იტალია 0-2 (0-1) გოლები: კაზირაგი, 6 (0-1), — ბანფი, 47 საკუთარ კარში (0-2).

● შვეიცარია — ჩეხეთი 1-2 (1-1). გოლები: კუკა, 23 (0-1), გრასი, 33 (1-1), კუკა, 84 (1-2).

● რუმინეთი — მოლდოვა 3-1 (3-0). გოლები: პეტრესკუ, 28 (1-0), პოპესკუ 36 (2-0), პოპესკუ, 40 (3-0), ტესტიმიცანუ, 78 (3-1).

● დანია — განა 1-0 (1-0) გოლი: პელეგი, 41.

● ირლანდია — ხორვატია 2-2 (1-2) გოლები: შუკერი, 14 (0-1) კ. ო`ნილი, 24 (1-1), ბობანი, 45 (1-2), კუინი, 89 (2-2).

● ფინეთი — თურქეთი 1-2 (1-1). გოლები: ლიტმანენი, 24 (1-0), ტუგაი, 37 (1-1), საფეტი, 55 (1-2).

● ბულგარეთი — არაბთა გაერთიანებული საემიროები 4-1 (2-1). გოლები: იორდანოვი, 6 (1-0), სტოიჩკოვი, 29 (2-0), ზუხერ ბახიდი, 38 (2-1), დონკოვი, 69 (3-1), სირაკოვი, 79 (4-1).

პენალტებით გადაწყდა

40 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო ბარსელონაში ახალგაზრდა ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალს ესპანეთისა და იტალიის გუნდებს შორის. ძირითადი და დამატებითი დრო ამ დაძაბული მატჩისა დამთავრდა ფრედ — 1-1. სხვათა შორის, ორივე ბურთი გაიტანეს ესპანელებმა, ერთი-საკუთარ (იდიაკესმა, მე-13 წუთზე), მეორე კი მეტოქის კარში (რაულმა, 42). აი პენალტების სერია კი სტუმრებმა შეასრულეს უკეთ (4-2) და საპატიო ჯილდოსაც დაეუფლნენ.

მესამე ადგილისათვის გამართული ბრძოლა საფრანგეთისა და შოტლანდიის ახალგაზრდულ გუნდებს შორის ფრანგებმა მოიგეს — 1-0 (გოლი გაიტანა მორომ).

ფანტაზიას ზღვარი არ აქვს

რა უნდა ჰქონდეთ საერთო სპორტულ და სალაღობო რეკორდებს?

სად თავდება სპორტი და სად იწყება თავშექცევა, რასაც საერთო არაფერი აქვს სპორტთან? ამ კითხვაზე ბევრი ეძიებს პასუხს, რადგან ყოველი ცნობა ახალი „რეკორდის“ შესახებ, გაოცებასთან ერთად, მათში ერთგვარ სინანულსაც იწვევს.

საერთოდ რა აქვს საერთო სპორტთან ისეთ რეკორდებს, რომლითაც უფრო და უფრო სქელტანიანი ხდება ცნობილი გინესის თუ სხვა ამგვარი რეკორდების წიგნები? ცხადია, არაფერი.

და მაინც, ფრანგმა ფრანსუა მერსემ შეუსვენებლად იცეკვა 97 საათი, 14 წუთი და 19 წამი. მართალია, პრიზი — 2000 ფრანკი, რომელიც დაწესებული იყო ყველაზე გამძლე მოცეკვავისათვის, მერსემ მოიპოვა, მაგრამ გამარჯვებული მოცეკვავე მის მიღებას ვერ ეღირსა — ტრიუმფიდან რამდენიმე წუთიც არ იყო გასული, რომ იგი გულის დამბლით გარდაიცვალა.

დანიელმა ტონმა მოინდომა რა სენსაციით მიეპყრო ყურადღება, უამრავი მაყურებლის თვალწინ გადაწყვიტა 15 მეტრის სიმაღლის ამწედან თავით გადმომხტარიყო ქვიშაში. თავადაც ადვილად წარმოიდგენთ რით დამთავრდებოდა ასეთი რისკიანი „ფრენა“...



კანადელი ივონ ივა უფრო წინდახედული გამოდგა „რატომ უნდა ჩავიგდო თავი საფრთხეში, როცა შეიძლება სხვისი სიცოცხლე შეაგდო სასწორზე. შენ კი ფული და სახელი მოიხვეჭო?! და ამ კაცმა საფრანგეთის ქალაქ ევრში მოხალისე ხუთი მამაკაცი და ორი ქალი მონუსხა ჰიპნოზით, მონუსხა და მერე როგორ — მთელი 7 დღე-ღამე, ანუ 168 საათი დააძინა.

სხვათა შორის, ევრი „აბსურდის ოლიმპიადის“ ქალაქადაც იქცა და იქ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან უამრავი სენსაციის მოყვარული ჩადის, რათა საკუთარი თვალით იხილოს ახალი რეკორდების დაბადება. სწორედ ამ ქალაქში ტარდება შეჯიბრებები კბილებით მოტოციკლეტის შეჩერებაში, ფეხით კლიენტის გაპარსვაში, თავზემოთ ფეხებშეკრულთა ასპარეზობაში 600 მ. დისტანციაზე და ა. შ.

უცხოეთის გამომცემლობები საგულდაგულოდ აგროვებენ უცნაურ რეკორდებს და დაუყოვნებლივ აწვდიან მკითხველებს. ის კი არა, სპეციალური ენციკლოპედიებიც კი გაჩნდა. რას არ წაიკითხავთ ამ გამოცემებში. მაგალითად, დანიელმა ქალიშვილმა ხელგა იენსენმა თურმე მთელი 2 კმ მანძილზე ცხვირით აგორა ტყის თხილი. შვეიცარიელი ტონი ვილდი 120 საათი და 15 წუთი მჯდარა ხეზე და მხოლოდ ვაშლით იკვებებოდა. საერთო წონის, 300 კგ 43 ავტოსაბურავი ჩამოიცვა თავზე ინგლისელმა ფრეიზერ ნოუბლმა. ანგარიშით 204-194 დამთავრდა მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი საფეხბურთო მატჩი: სიდნეელმა სპორტსმენებმა მოედანზე დაჰყვეს... 42 საათი. ყველაზე დიდი პოპულარობა „სალაღობო რეკორდებმა“ აშშ-ში მოიპოვა, რასაც ხელს უწყობს პრესა და ტელევიზია, ნაირ-ნაირი გამოცემები, ამერიკელ დომარ ტომასს ეკუთვნის ახალი, კიდევ ერთი სენსაციური რეკორდი — 8 საათის განმავლობაში მან ხელი ჩამოართვა 8614 ადამიანს. ძველი მსოფლიო რეკორდი იცით ვის ეკუთვნოდა? — აშშ-ის პრეზიდენტ თეოდორ რუზველტს, რომელმაც 1907 წლის 1 იანვარს თეთრ სახლში მიწვეულ 8513 სტუმარს ჩამოართვა ხელი. „ჩვეულებრივმა ჩინოვნიკმა ფლორიდის შტატიდან აჯობა აშშ-ს პრეზიდენტს“ — წერდა პრესა ახალ რეკორდთან დაკავშირებით.

არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი ცდილობს სალაღობო სენსაციური რეკორდები დაუკავშიროს სპორტს. თუმცა, რა დიდი განსჯა-მიხვედრა უნდა იმას, რომ ასეთ რეკორდებს არა თუ საერთო არაფერი აქვს სპორტთან, ზოგჯერ ჯანსაღი გონების ჩარჩოებშიც ვერ თავსდება.

ინფორმაცია

● **კალათბურთი.** საფრანგეთის რეგულარულ ჩემპიონატში გამარჯვებულმა „პო ორტეზმა“ ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. „პლეი-ოფის“ მეხუთე გადამწყვეტ პარტიაში მან დაამარცხა „ვილერბანი“ 78:72. ჩემპიონის შემადგენლობაში ჟურნალისტები განსაკუთრებით გამოყოფენ რუმინელი ლეგიონერის კონსტანტინ პოპას კარგ თამაშს.

● **კალათბურთი.** ესპანეთის ჩემპიონი გახდა „ბარსელონა“, რომელმაც „პლეი-ოფში“ დაამარცხა თავისი მთავარი კონკურენტი „კახა სან ფერნანდო“ ანგარიშით 3:0. მესამე ორთაბრძოლაში, რომელიც „ბარსელონამ“ მოიგო ანგარიშით 93:89, თავი გამოიჩინა ლიტველმა არტურას კარნიშოკასმა, რომელმაც გამარჯვებულ გუნდს 18 ქულა შესძინა.

● **მძლეოსნობა.** მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი სპრინტერები ინტენსიურად ემზადებიან ატლანტის ოლიმპიური თამაშებისათვის. მათ შორის ჯერჯერობით დაწინაურდა ატო ბოლდონი (ტრინიდადი და ტობაგო), რომელმაც იუჯინში (ორეგონის შტატი) აშშ-ს სტუდენტთა ჩემპიონატზე 100 მ. გაირბინა 9,92-ში. ეს შედეგი წლეულს მსოფლიოში საუკეთესოა. სან-ხოსეში იგივე დისტანცია ლერო ბარელმა (აშშ) 10,18-ში გაირბინა. კანადელმა სპრინტერმა დონოვან ბეილიმ მშობლიური ებოტსფორდის საერთაშორისო ტურნირზე საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა — 9,97. როგორც ჩანს, ოლიმპიური ოქროს მედლის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი, ნამიბიელი ფრენკი ფრედერიკსი იქნება, რომელიც რეგულარულად აჩვენებს 10 წამზე უკეთეს შედეგს 100 მეტრზე რბენაში. ამ დღეებშიც, „გრან-პრის“ პროგრამით სან-დენიში გამართულ შეჯიბრებაზე დისტანცია მან 9,95-ში დაფარა.

მხატვრული ტანვარჯიში. ოსლოში დამთავრდა ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატი; გუნდური ტურნირი მოიგო ბულგარეთმა — 38,733 ქულა. პირადში ჩემპიონები გახდნენ: მრავალჭიდში — ეკატერინე სერებრიანსკაია (უკრაინა) — 39,966. გურზებით ვარჯიშში — ამინა ზარიპოვა (რუსეთი) — 10,0. სერებრიანსკაიას ოქროს მედლები გადაეცა, აგრეთვე, ლენტით (9,950), სახტუნელათი (9,950) და ბურთით (10,0) ვარჯიშში გამარჯვებისათვის.

ელიტა ძალებს სინჯავს

მათი პირველი ოფიციალური შეხვედრა წლეულს ამ დღეებში მოხდა საფრანგეთის ალპებში. მსოფლიო ველოსპორტის კლასიფიკაციით პირველმა ნომერმა ლორან ჟალაბერმა (საფრანგეთი „ონსე“) და „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის ჩემპიონმა მიგელ ინდურაინმა (ესპანეთი, „ბანესტო“) მონაწილეობა მიიღეს კლასიკურ ერთდღიან რბოლაში შამბერი — ექს-ლე-ბენში. ჟალაბერმა არც ამჯერად უღალატა ტრადიცias, მოიგო რბოლა და გაახარა თავისი გულშემატკივრები. ესპანელი კი ჯერ არ ჩქარობს. ტრასაზე იგი მაინც და მაინც არ აქტიურობდა, თუმცა მეტოქის არც ერთი შეტევა უყურადღებოდ არ დაუტოვებია, 30 კილომეტრზე კი შეწყვიტა თავგამეტებული ბრძოლა და ფინიშთან მხოლოდ მერვე მიიჭრა.

რბოლის დამთავრებისთანავე ჟალაბერიცა და ინდურაინიც მეზობელ ქალაქში გადავიდნენ და ახალ შეჯიბრებაში — „კრიტერიუმ დოფინეში“ ჩაებნენ. აქ. სხვათა შორის, თავი მოიყარა საკმაოდ ძლიერმა კამპანიამ — მსოფლიო რეკორდსმენმა საათიან რბოლაში ტონი რომინგერმა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ლუკ ლებლანმა, „ტურ დე ფრანსის“ არაერთგზის „სამთო მეფემ“ რიშარ ვირანკმა და კიდევ ბევრმა ცნობილმა ველოსიპედისტმა.

პირველი ეტაპი — პროლოგი, როგორც მოსალოდნელი იყო, მოიგო ინგლისელმა („განი“) კრის ბორდმენმა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა ტრეკზე გამოდევნებით რბოლასა და მსოფლიო ექს-რეკორდსმენმა საათიან რბოლაში. როგორც მოსალოდნელი იყო, იმიტომ ვთქვით, რომ კრიტერიუმის მანძილი ერთობ მოკლე იყო (5,7 კილომეტრი) და ბორდმენი ასეთი „სპრინტერული დისტანციების“ სპეციალისტად ითვლება.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **პოლანდიის** ჩემპიონ „აიაქსს“ მოლაპარაკება აქვს კიდევ ერთ შავკანიან ფეხბურთელთან. ამჯერად მას სურს გადმოიბიროს 22 წლის ნიგერიელი ტეჯანი ბაბანგიდი.

● **შეიძლება** კატასტროფის წინაშე აღმოჩნდეს საფრანგეთის ჩემპიონი „ოსერი“, რომელსაც ქვეყნის ღირსების დაცვა ევალება ჩემპიონთა ლიგაში. ლორან ბლანისა და კრისტოფერ კოკარის შემდეგ გუნდიდან წასვლას აპირებს ნაკრების ნახევარმცველი კორენტენ მარტენსი. და კიდევ, „ოსერი“ შეიძლება დატოვოს საბრი ლიამუშმაც, რომელშიც „ლაციო“ 9 მილიონ დოლარს იძლევა.

● **მადრიდის** „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა ჰესუს ჰილმა მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება არსად არ გაუშვას კლუბის მწერთნელი სერბი რადომირ ანტიჩი, რომლის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული გუნდის წლევანდელი წარმატება — „ოქროს დუბლი“.

● **ბრაზილიელმა** ბებეტომ შვიდი წლის წინ დატოვა თავისი კლუბი „ფლამენგო“ და ევროპაში წავიდა სათამაშოდ. ახლა იგი ბრუნდება შინ, თავის გუნდში, სადაც დახვდა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე რომარიო და ქვეყნის ნაკრების კიდევ ერთი ახალგაზრდა ფორვარდი სავიო. „ფლამენგოს“ აქციები, რა თქმა უნდა, ერთი ორად გაიზარდა.

ვიდრე დიდი ალბიონის სტადიონები ახმაურდება

სასტუმროები ეძვირებათ

ინგლისის სასტუმროებმა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით უსაშველოდ გაზარდეს ფასები. ეს მოსალოდნელი იყო, მაგრამ ამ ნაბიჯმა უკურეაქცია გამოიწვია — 2000-მდე მოსალოდნელმა სტუმარმა უკვე უარი განაცხადა ინგლისში ჩასვლაზე მხოლოდ იმიტომ, რომ დიდია სასტუმროს ხარჯები. ქვეყნის გაზეთებმა ამ დღეებში მოუწოდეს სასტუმროს მეპატრონეებს გადახედონ თავიანთ გადაწყვეტილებას და შეამცირონ ფასები. რითაც ისინი სტუმრებსაც მეტს მიიზიდავენ და ჩემპიონატის პრესტიჟსაც აამაღლებენ. ისევ და ისევ სასტუმროებში სიძვირის გამო, ჟურნალისტთა აზრით, 40 ათასამდე ბილეთი გაუყიდავი რჩება.

ფასიანი მოხალისეები

ინგლისში ევროპის ჩემპიონატის მომსახურე აქტივისტებისათვის ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციამ 50 ათასი ფუნტი სტერლინგი გამოყო. მსურველი იმდენი გამოჩნდა, საგანგებო კონკურსის ჩატარება გახდა საჭირო საუკეთესოთა შესარჩევად.

პოლიცია მზადყოფნაშია

EURO — 96-ის დღეებისათვის ბრიტანეთის პოლიცია მაქსიმალურად გააქტიურდა ჩემპიონატის გახსნამდე სამი დღით ადრე, ქალაქებში, სადაც ჩატარდება მატჩები, საგანგებო რეიდები მოეწყო. გამოვლინდა 6 საეჭვო პიროვნება, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის დააკავეს. მათ ცივი იარაღი და საფეხბურთო მატჩების ზედმეტი ბილეთები აღმოაჩნდათ.

როგორც სააგენტო UPI იუწყება, აღნიშნულ ხმაურიან რეიდს დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

იუმორი



კროსვორდი

თარაზულად: 5. ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი ვაჟი, 6. სათევზაო ინვენტარი, 10. თამაშის დროის ერთი ნახევარი, 11. ქალაქი სიღნაღის რაიონში, 12. სამაგიდო კომპიუტერის აპარატი, 15. სპორტში დახელოვნებული, 16. სტადიონზე რბენისთვის გამოყოფილი ზოლი, 17. სოფელი ლაგოდეხის რაიონში, რომელსაც ერთ დროს კარგი საფეხბურთო გუნდიც ჰყავდა, 18. ზღვისა და ტბის ნაპირზე გაშლილი, დასასვენებელი ადგილი, 21. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი — ევროპის ჩემპიონი (1960 წ), 23. თბილისის „დინამოს“ დროებითი სახელი ახლო წარსულში, 27. საქართველოს რადიოს სპორტული ჟურნალი, 29. სამოთხის ბაღი, 30. წარმატების შესაძლებლობა, 31. მწკრივის მარჯვენა ან მარცხენა მხარე, 32. სხეულის დაზიანება, რაც ხშირად აწუხებს სპორტსმენებს.

შვეულად: 1. ჩოგბურთში პარტიის ნაწილი, 2. საფრანგეთის ფულის ერთეული, 3. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 4. ტერმინი ბანქოს თამაშში, 7. ამინდი ანუ... 8. ილეთი ანუ... 9. მარჯვე ეფექტური ილეთი, 13. ხალისის აღმძვრელი მიზეზი, 14. სპორტის სახეობა, 19. ძრავიანი ველოსიპედი, 20. ჰოლანდიის ცნობილი საფეხბურთო კლუბი. 22. ძალოსნობის პროგრამა, 24. სიმძიმეების აწევაში ძირითადი იარაღი, 25. ცნობილი გერმანელი მოცურავე ქალი მსოფლიო ჩემპიონი (1973), ოლიმპიადის პრიზიორი (1972), მსოფლიო რეკორდსმენი, 26. საფარიკაო იარაღი, 28. შედეგი ჭადრაკში.

„ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. კენედი, 6. ბიკილა, 10. ეკიპი, 11. იმამი, 12, „მრეტები“, 15. „ალანია“, 16. „სულორი“, 17. სტილი, 18. სვანი, 21. ოთურმა, 23. არაბია, 27. ბიზნესი, 29. კბოდე, 30. დვირი, 31. აბდალი, 32. კრისტი.

შვეულად: 1. შერპი, 2. ადლერი, 3. დიდუბე, 4. სლემი, 7. სკოპლე, 8. ალტაი, 9. ამბორი, 13. თილისმა, 14. გუდაური, 19. მთიები, 20. ფიშერი, 22. გონგი, 24. ტიტული, 25. უსტარი, 26. გდება, 28. კვოტა.

საჭადრაკო ამოცანა

რევაზ თავარიანი

(თბილისი)



ნადიშამათი 2 სვლაში

შავები იწყებენ და ეხმარებიან თეთრებს შავი მეფის დამამათებაში

საქართველოს სპორტული ნარდის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი სპორტსმენი, საქართველოს და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის მონაწილე და პრიზიორი

დავით გორდელაძე

და თანაუგრძნობს ოჯახს

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ეთერი მანგოშვილი, ნანი რამიშვილი, მერი წოწორია.